პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУзии и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 302 (10388)
შაბათი
24
დეკემბერი
1955 წ.

ფასი 20 კაპ.

საკავშირო ბიბლიოთეკა

თვალსაჩინო წვლილი ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში

ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ხსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაამთავრეს მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში და სამშობლოში დაბრუნდნენ.

21 დეკემბერს მოსკოვის ასეულ ათასობით მშრომელი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ნ. ა. ბულგანინს. და ამ ამაღელვებელი, დაუვიწყარი შეხვედრით გამოიხატა გრძნობები საბჭოთა ხალხისა, რომელიც სულითა და გულით მიესალმება აზიის ქვეყნებში საბჭოთა ხელმძღვანელების მეგობრობის ვიზიტის უდიდეს წარმატებას.

ჩვენი დიდი სამშობლოს ყოველი კუთხიდან მოდის ცნობები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ რა ენთუზიაზმით მიიღო საბჭოთა ხალხმა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის კეთილნაყოფიერი შედეგები, თუ რა შთამაგონებელი სტიმულია ეს შედეგები საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

1955 წელი ისტორიაში შევა, როგორც ისეთი წელი, რომელიც აღნიშნული იყო მოვლენებით, რომლებმაც გამოიწვიეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ხალხებს შორის თანამშრომლობის გაფართოება და მშვიდობის განმტკიცება. ეს იყო ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის, ბანდუნგის კონფერენციის წელი, საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის იმ ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯების წელი, რომლებმაც ხელი შეუწყეს მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

მდიდარია დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით 1955 წელი, მაგრამ მისი ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო, ღირსშესანიშნავი მოვლენაა ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოგზაურობა აზიის ქვეყნებში, რომელიც ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ტრიუმფი გახდა.

„ინდოელები და რუსები ძმები არიან!", „გაუმარჯოს ბირმისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ხალხთა მეგობრობას!" — გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ამ მგზნებარე მოწოდებებში გაისმა ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის მილიონობით უბრალო ადამიანის სიყვარული და მადლობა საბჭოთა კავშირისადმი — გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისადმი, კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლისადმი, მთელი მსოფლიოს მშვიდობის მქადაგებლისადმი.

რა სიღრმით გამოთქვა ხალხთა გრძნობები ცნობილმა ინდოელმა პოეტმა ჰარინდრანათ ჩატოპადჰაიამ, რომელიც წერდა:

ინდოელები და რუსები ძმები არიან!
ჩვენი ალმები მხარდამხარ ფრიალებენ.
ჩვენი გული და ჩვენი სალამი
მშვიდობაზე, მეგობრობაზე მეტყველებენ.
უკვდავია მეგობრობა, ჩვენ რომ წარმოვშვით,
ის იკაშკაშებს მარადი შუქით,
დე სხვადასხვა იყოს გზა ჩვენი —
დიად მიზანს ხომ ერთად ვესწრაფვით!

დიდი ხალხების ამ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. იგი გამოიწვია იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ორმოც წელზე მეტი ხნის წინათ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემდეგ დემოკრატიული რევოლუცია მოედო მთელ აზიას: „აზიაში ყველგან იზრდება, ფართოვდება და მტკიცდება მძლავრი დემოკრატიული მოძრაობა... იღვიძებს სიცოცხლისათვის, სინათლისათვის, თავისუფლებისათვის ასობით მილიონი ადამიანი". დიდი ოქტომბრის შემდეგ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი წერდა, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას შეადგენენ, არაჩვეულებრივი სისწრაფით ებრძვნიან თავიანთი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ლენინმა იწინასწარმეტყველა ამ ბრძოლის ძალევამოსილი შედეგი.

ცხოვრებამ სავსებით დაადასტურა ვლადიმერ ილიას-ძის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები. კოლონიური სისტემა ინგრევა. იგი უკვე გაკოტრდა აზიაში. ჩვენმა დიდმა მეგობარმა და ძმამ — ჩინელმა ხალხმა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, თავისი ქვეყნიდან განდევნა კოლონიზატორები, რომლებიც მას ტანჯავდნენ, გაანადგურა შინაური მტრები და მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის გზას. დიდი აღმავლობით შეუდგა ახალი ცხოვრების მშენებლობას ინდოეთის დიდი ხალხი, რომელმაც მოიშორა კოლონიური უღელი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბირმისა და სხვა ქვეყნების ხალხები აგრეთვე განთავისუფლდნენ კოლონიური ბატონობისაგან. ადამიანურ ცხოვრებაში ახალი აზია — აზია დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა, რომლებიც გამსჭვალული არიან მტკიცე მისწრაფებით განავითარონ და განამტკიცონ თავიანთი ეროვნული ეკონომიკა, თავიანთი ძველისძველი მდიდარი კულტურა.

„ჩვენი დროის თავისებურებაა ის, — თქვა ნ. ა. ბულგანინმა ინდოეთის რესპუბლიკის პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში, — რომ ღრმად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება აზიისა და მთელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. მიმდინარეობს აღმოსავლეთის ხალხების გაღვიძებისა და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმის დიდი ისტორიული პროცესი. ეს პროცესი მთელი ძალით მიმდინარეობს, და არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი შეჩერება".

კოლონიზატორები ამტკიცებენ, რომ იმ გზაზე, რომელიც ინდოეთმა, ბირმამ და სხვა ქვეყნებმა აირჩიეს, მათ გარდუვალად მოელით ქრახი, თუ ქედს არ მოიხრიან თავიანთი გუშინდელი მჩაგვრელების წინაშე. მაგრამ აზიის ქვეყნების ხალხები სხვანაირად ფიქრობენ. მათ წინაშეა აღმაფრთოვანებელი მაგალითი საბჭოთა კავშირისა — იმ ქვეყნისა, რომლის ხალხებმა თავიანთ ხელში აიღეს ძალაუფლება, შეძლეს მოკლე ისტორიულ ვადაში დაეძლიათ საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, შეექმნათ მძლავრი ინდუსტრია და მოწინავე სოფლის მეურნეობა, მოეპოვებინათ უმაგალითო წარმატებანი კულტურის დარგში. ყველა ქვეყნის ხალხები არასოდეს არ დაივიწყებენ საბჭოთა ადამიანების დიდ გმირობას, რომლებმაც გაანადგურეს ფაშისტი ავაზაკები და იხსნეს კაცობრიობა უმაგალითო საფრთხისაგან, რომელიც მას მოელოდა.

საბჭოთა ხელმძღვანელების შეხვედრა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში გადაიქცა საბჭოთა კავშირისადმი ამ ქვეყნების ხალხთა მეგობრული გრძნობების მკაფიო დემონსტრაციად.

„როცა ჩვენ ვხედავდით ჩვენი ქვეყნისადმი აზიის ხალხების ასეთი ძმური სიყვარულის გამოვლინებას, — თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში ცენტრალურ აეროდრომზე მოსკოვში, — გონებით გადმოვდიოდით აქ და შეგნებაში წარმოგვიდგებოდა დიდი ტატანის სახე — საბჭოთა ხალხის, გმირი ხალხის, შემოქმედი ხალხის სახე. მას, საბჭოთა ხალხს, ჩვენი ქვეყანა უნდა უმადლოდეს თავის სიდიადეს. სწორედ მან, საბჭოთა ხალხმა, თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ესოდენ მაღლა აიყვანა ჩვენი ქვეყანა და იგი ჩამორჩენილი რუსეთიდან გადააქცია მსოფლიოს ყველაზე მოწინავე და მძლავრ სახელმწიფოდ. სწორედ მან, საბჭოთა ხალხმა, ააშენა სოციალიზმი და ამით ხორცი შეასხა კაცობრიობის ოცნებას ჩვენი სამშობლოს ცხოვრებასა და ყოფაში.

და ჩვენი გული აღივსებოდა სიამაყით იმის შეგნების გამო, რომ ჩვენ ვართ დიდი საბჭოთა ხალხის შვილები, მისი წარგზავნილნი და მსახურნი".

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ვერც ერთი სერიოზული პრობლემა აზიაში — და ახლა მარტო აზიაში — ვერ გადაიჭრება, თუ მონაწილეობა არ მიიღეს ჩინეთმა, ინდოეთმა, აზიის ყველა სხვა ხალხმა. მათი როლი განუზომლად გადიდდა საერთაშორისო ასპარეზზე. და კაცობრიობის ყველაზე ძვირფასი მონაპოვარი უკანასკნელ წლებში, უეჭველია, არის მეგობრობის განმტკიცება საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ინდოეთს — სამ დიდ სახელმწიფოს შორის, რომლებშიც დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს და შრომობს.

ამ მეგობრობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ და წარმოადგენს მშვიდობისათვის საერთო ბრძოლაში ყველა ქვეყნის ხალხთა სოლიდარობის ზრდის სტიმულს. დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტებით, რომლებიც ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგია და რომლებიც მოასწავებენ თვითეულ ამ ქვეყანასთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების ახალ ეტაპს, სავსებით გამოიხატა ის კეთილშობილური პრინციპები, რომლებსაც ემყარება სსრ კავშირის მეგობრობა ბევრ სახელმწიფოსთან.

ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზეზებით, თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა — აღნიშნული ხუთი პრინციპი, რომლებიც პირველად გამოაცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ და ინდოეთმა, როგორც ცნობილია, მოიწონეს მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა და ეს პრინციპები საფუძვლად დაედო ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებს. ამ პრინციპების მიღება ყველა სხვა ქვეყნის მიერ, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მიერ, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ხალხთა შორის საჭირო ნდობის დამყარების საქმეში.

თავიანთ სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში სსრ კავშირი, ინდოეთი, ბირმა და ავღანეთი სხვადასხვა გზით მიდიან. მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლის ხელს იმას, რომ ამ ქვეყნებს საერთო შეხედულებები აქვთ ბევრ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემაზე.

როგორც ჩანს დელში, რანგუნსა და ქაბულში ხელმოწერილი ერთობლივი განცხადებებიდან, საბჭოთა კავშირი, ინდოეთი, ბირმა, ავღანეთი ერთსულოვნად ესწრაფვიან შორეული აღმოსავლეთის გადაუჭრელი პრობლემების რაც შეიძლება მალე მოწესრიგებას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ხალხთა სინდისი მოითხოვს, რომ ჩანკაიშელი მაჩანჩალა დაუყოვნებლივ გააძევონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან და მან ხელი აღარ შეუშალოს ორგანიზაციის მუშაობას. შეუწყნარებელია აგრეთვე ის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილი—კუნძული ტაივანი კვლავ ოკუპირებული ჰქონდეთ უცხოელებს.

ინდოეთი, ბირმა, ავღანეთი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირი, მტკიცედ მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ გადაიჭრას საყოველთაო განიარაღებისა და ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვის პრობლემა. ისინი იმას ითვალისწინებენ, რომ ხალხთა ნამდვილი უშიშროება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობის განსამტკიცებლად სახელმწიფოთა ერთობლივი კოლექტიური ღონისძიებების გზით. ეს იმას ნიშნავს, რომ უარი თქვან ყოველგვარ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე, რომლებიც ისახავენ აგრესიულ მიზნებს და მიმართული არიან სახელმწიფოების მიერ სხვა სახელმწიფოთა დამორჩილებისაკენ. ასეთი ბლოკებია უბადაღებული ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სამხედრო ბლოკი, ბაღდადის პაქტი, რომლებიც სძულთ ხალხებს.

ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხელმძღვანელი პოლიტიკური მოღვაწეები მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის იმ თვალსაზრისს, რომ „ჟენევის სულისკვეთებამ", რომელიც წარმოიშვა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ნაყოფიერი თათბირის შედეგად, დადებითი როლი შეასრულა და მას ვერ დაასამარებენ ისინი, ვინც ამას ცდილობს. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ კვლავაც უნდა წარმოებდეს დაინტერესებულ სახელმწიფოთა მოლაპარაკება მომწიფებული საკითხების გადასაჭრელად.

აზიის ქვეყნებში ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მეგობრობის ვიზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განმტკიცება საბჭოთა კავშირს, ინდოეთს, ბირმასა და ავღანეთს შორის.

საბჭოთა კავშირს ღრმად აქვს შეგნებული და ეზიარებს აზიის ქვეყნების მისწრაფებას — შექმნან თავიანთი დამოუკიდებელი ინდუსტრია, გააუმჯობესონ სოფლის მეურნეობა, განავითარონ ეროვნული კულტურა. საბჭოთა ხალხი, რომელმაც სამეურნეო მშენებლობის დიდი გამოცდილება შეიძინა, მოდამ მზად არის უანგაროდ გაუზიაროს სხვებს ეს გამოცდილება. სსრ კავშირის ეკონომიურ ურთიერთობას აზიის ქვეყნებთან, როგორც ეს ჩანს ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში საბჭოთა ხელმძღვანელების ყოფნის შედეგად მიღწეული შეთანხმებიდან, საფუძვლად უდევს თანასწორობა და ურთიერთსარგებლობა.

ასეთი თანამშრომლობა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს და კვლავაც მოახდენს დაინტერესებული ქვეყნების ეკონომიკაზე. იგი ძირეულად განსხვავდება იმ უბადაღებული „დახმარებისაგან", რომელსაც აზიის ქვეყნებს სთავაზობენ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, მოითხოვენ რა ამასთან, რომ აზიის ქვეყნები დათანხმდნენ მონაწილეობა მიიღონ აგრესიულ ბლოკებში ან განსაკუთრებული შეღავათები მიანიჭონ იმპერიალისტურ მონოპოლიებს. კოლონიზატორების ვერავითარი „დახმარება" ვერ აანაზღაურებს იმ ზარალს მემილიონედ ნაწილისაც კი, რომელიც ყოფილი კოლონიების ხალხებმა ნახეს კოლონიური ძარცვისა და ძალადობის შედეგად!

საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობა აზიის დიდ და პატარა ხალხებთან საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების გამარჯვების შესანიშნავი მაგალითია. ეს მეგობრობა ხალხთა შორის მშვიდობის უდიდესი ფაქტორია და არ შეიძლება, რომ ამ ფაქტორს ანგარიში არ გაუწიონ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგეებმა.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში გამგზავრების შედეგებს უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ აზიისა და აფრიკის, ევროპისა და ამერიკის ხალხები.

„ხელოვნური ერდლის მოსპობას საბჭოებსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის, — წერს ინდოეთის გავლენიანი გაზეთი „ნეიშნლ ჰერალდი", — მოჰყვება მათ შორის კულტურული და ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცება". შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი თანამშრომლობის უარყოფა იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ უარგვიყო „მშვიდობიანი თანაარსებობისა და მშვიდობის რწმენა და უმწეო მდგომარეობაში ჩავეგდო თავი, დამოკიდებული ვეფოფილიყავით კოლონიზატორებზე".

ჩინური გაზეთი „ჟენმინჟიბაო", კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივ განცხადებას, აღნიშნავს: „საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარება, უეჭველია, ხელს შეუწყობს აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას... მჭიდრო კავშირი ისეთი ქვეყნებისა, როგორიც არიან საბჭოთა კავშირი, ინდოეთი და ჩინეთი, სადაც დედამიწის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს, აზიის სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ხალხებთან საშუალებას მისცემს აზიის ხალხებს მტკიცედ ექნეთ თავიანთი ბედი საკუთარ ხელში".

ცნობილია, რომ ყველას როდი მოსწონს საბჭოთა ხელმძღვანელების აზიის ქვეყნებში მოგზაურობის შედეგები. იმპერიალისტურ წრეებში შეშფოთება და დაბნეულობაა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რეაქციული პრესა, რომელმაც ხელი მიჰყო ყოველგვარი ჭორების ჩამახვასა და უხეშ ცილისწამებას, არ ძალუძს შენიღბოს ამ შეშფოთების მიზეზები. ამერიკისა და ინგლისის ბურჟუაზიულ გაზეთებს არ შეუძლიათ არ აღიარონ, რომ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრული ვიზიტის მიხედვით აზიის ამ და სხვა ქვეყნებში კიდევ უფრო გარკვეულად დაინახეს დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკის ნამდვილი ხასიათი. მაგალითად, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" დელელი კორესპონდენტი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „აზიის ხალხებს სჯერათ, როცა საბჭოთა კავშირი ეუბნება მათ, რომ მთ ჯერ კიდევ ემუქრება კოლონიალიზმი.., რომელმაც ახალი ფორმები მიიღო და სამხედრო პაქტებისა და ეკონომიური შეღწევის საშუალებით ვრცელდება".

დიახ, აზიის ხალხებს სჯეროდათ და სჯერათ საბჭოთა კავშირისა, რადგან საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები სიმართლეს ამბობდნენ და ამბობენ. „მაგრამ, — როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა რანგუნში გამართულ მიტინგზე, — ზოგიერთ ვაჟბატონს ძალიან არ მოეწონა ჩვენი ჩამოსვლა ინდოეთსა და ბირმაში, არ მოეწონა ჩვენი გამოსვლები და გულახდილი აზრები. მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ სიმართლეს, ხოლო სიმართლე ხშირად ყველას როდი მოსწონს. როგორც ხალხურ ანდაზაშია ნათქვამი, — სიმართლე თვალსა ჩხვლეტს".

საბჭოთა კავშირის მისწრაფება საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისადმი ეწინააღმდეგება დასავლეთის სახელმწიფოთა ზოგიერთი წრეების აგრესიულ გეგმებს, — სწორედ ამიტომ ასეთი გააფთრებით ეხმაურნ ისინი თავს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში დამთავრდა. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა სახელმწიფოების ხელმძღვანელ მოღვაწეთა პირადი კონტაქტის დიდი მნიშვნელობა და დიდი სარგებლობა. საბჭოთა კავშირისა და აზიის ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში ახალი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა. მთელი საბჭოთა ხალხი ღრმა კმაყოფილებას გამოთქვამს ამ მოგზაურობის შედეგების გამო და სულით და გულით მიესალმება დელში, რანგუნსა და ქაბულში ხელმოწერილ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები, რომლებსაც ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, გამოხატავენ სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის, ხალხთა შორის მეგობრობის იდეის გამარჯვებას. საბჭოთა ხალხს მტკიცედ სწამს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკის გამარჯვება.

ძმური სალამი ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხებს, რომლებიც განამტკიცებენ თავიანთ ეროვნულ დამოუკიდებლობას!

მგზნებარე სალამი დიდ ჩინელ ხალხს, მეგობარსა და ძმას, რომელიც წარმატებით აშენებს ახალ ცხოვრებას!

გაუმარჯოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სოლიდარობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

„პრავდის" 23.XII მოწინავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი მ ა რ თ ვ ა

ვორონეჟის ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტების, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირების, რემონტის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ყველა მექანიზატორისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ქვეყანა ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. ყრილობას ღირსეულ შეხვედრას უმზადებს მთელი საბჭოთა ხალხი. ქალაქებისა და სოფლების მშრომელები ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნავენ ყრილობისწინა დღეებს.

ვორონეჟის ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებმა, რომლებიც კოლმეურნეებთან მჭიდრო თანამშრომლობით იბრძვიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე განახორციელონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ, წელს გაადიდეს მარცვლის წარმოება თითქმის 2-ჯერ, შაქრის ჭარხლისა — 2,8-ჯერ, მზესუმზირასი — 2,9-ჯერ 1954 წელთან შედარებით; მნიშვნელოვნად გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მარცვლეულისა და მემინდვრეობის სხვა პროდუქტების საერთო მოსავლის გადიდებამ შესაძლებლობა მისცა ოლქს შეესრულებინა პური დამზადების სახელმწიფო გეგმა 160,8 პროცენტით, მზესუმზირასი — 206,9 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 125,6 პროცენტით, კარტოფილისა — 113 პროცენტით, ბოსტნეულისა — 162,3 პროცენტით.

მარცვლეულის წარმოების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი მეტად ძვირფასი კულტურის მოყვანამ, როგორიც არის სიმინდი. ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ნათესი 1955 წელს გადიდდა 5,5-ჯერ გასულ წელთან შედარებით და შეადგინა 284,8 ათასი ჰექტარი, ანუ მარცვლეულის ნათესების მთელი ფართობის 20,6 პროცენტი. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდმა უმრავლესობამ სიმინდის მარცვლისა და მწვანე მასის კარგი მოსავალი მოიყვანა, რამაც შესაძლებელი გახადა კოლმეურნეობებში ჩაედოთ 7 ტონა სიმინდის სილოსი თვითეულ საფურაჟე ძროხაზე და 4,2 ტონა დაკონსერვებული სიმინდის ტარო თითო დედაღორზე და საბჭოთა მეურნეობებში 8,5 ტონა სილოსი თითო ძროხაზე და 4,5 ტონა დაკონსერვებული ტარო თითო დედაღორზე.

ოლქმა პირუტყვის გამოკვებისა და მოვლა-შენახვის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის შედეგად გადაჭარბებით შეასრულა რძის, მატყლის, კვერცხის ჩაბარების გეგმა და ამთავრებს ხორცის დამზადების გეგმის შესრულებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. საფუძველი ჩაეყარა მომავალი წლის მოსავალს—მზრალად მოხნულია 1956 წლის მთელი საგაზაფხულო ფართობი.

ოლქის მტს-ები კოლმეურნეობებში ასრულებენ მთელ მინდვრის სამუშაოთა 93 პროცენტს. ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი — საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში რომ მოვაწყოთ მინდვრის სამუშაოები და გავადიდოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის საერთო მოსავალი, ამისათვის საჭიროა მაღალხარისხოვნად მოვამზადოთ მანქანა-ტრაქტორთა პარკი და კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში გვქონდეს იგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მთელი პერიოდის მანძილზე. ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ტექნიკის რემონტის ხარისხზე და მინდვრად მანქანების სწორ ექსპლოატაციაზე.

წელს ოლქის მექანიზატორებმა თავის დროზე მოამზადეს სახელოსნოები და ჩარხები და როგორც კი დამთავრდა მინდვრის სამუშაოები, ფართო ფრონტით გააჩაღეს მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტი, იყენებდნენ რა მანქანების რემონტის კვანძურ და ნაკადურ-კვანძურ მეთოდებს. ბევრი მექანიზატორი კარგ შედეგს აღწევს რემონტში. ოცზე მეტმა მტს-მა ჯერ კიდევ 10 დეკემბრისათვის შეასრულა ტრაქტორების რემონტის IV კვარტალის გეგმა. ისეთმა მტს-ებმა, როგორიც არის კალაჩის, ევდაკოვოს, შიშოვკის მტს-ები, ამ ვადისათვის 136 პროცენტით შეასრულეს IV კვარტალის გეგმა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში პრაქტიკაშია პროფესიების შეთავსება. ევდაკოვოს მტს-ში 72 მექანიზატორს ორ-ორი, სამ-სამი სპეციალობა აქვს. ევდაკოვოს მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა ითავა ოლქის მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტი დაამთავრონ ვადამდე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის. ამ პატრიოტულ თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურა და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ვორონეჟის ოლქის ყველა მექანიზატორმა.

ჩავებით რა სოციალისტურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენ, ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორისტებმა, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა, რემონტის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, ვალდებულება ვიკისრეთ ყველა ტრაქტორი და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი შევაკეთოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის—1956 წლის 14 თებერვლისათვის.

დავდექით რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, ვალდებულებას ვკისრულობთ ყველა მანქანა გამოვუშვათ მაღალხარისხოვნად შეკეთებული, შევამოწმოთ ტრაქტორის მოტორები სიმძლავრესა და საწვავის ხარჯვაზე; ლიმიტურ ღირებულებასთან შედარებით ხუთი პროცენტით შევამციროთ ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტის თვითღირებულება.

მინდვრის სამუშაოებზე ტრაქტორისტთა შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლად ყველა ტრაქტორს გაუკეთდეს ელექტროგანათება და საჭირო ინსტრუმენტების კომპლექტით მომარაგდნენ მექანიზატორები, საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებისათვის შეიქმნას აგრეგატების, კვანძებისა და სათადარიგო ნაწილების გასაცვლელი ფონდი, რათა ნორმალურად მოეწყოს მანქანების ტექნიკური მოვლა მინდვრად.

იანვარ-მარტში თვითეულ მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში მოვაწყოთ მუდმივი და სეზონური მუშების ტექნიკური სწავლება კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტს მთელი წლის გრაფიკის მიხედვით, რომელიც საშუალებას იძლევა მთელი წლის განმავლობაში გვქონდეს მანქანები სამუშაოდ გამართული, და მტკიცედ ვეცდებით ამ პროგრესული ღონისძიების დანერგვას 1956 წელს ყველა მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში.

მანქანა-ტრაქტორთა პარკის მომზადებასთან ერთად ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, კოლმეურნეები ამეამად ამზადებენ თესლს, აგროვებენ და მინდვრად გააქვთ ადგილობრივი სასუქები, აკავებენ თოვლს, ახორციელებენ მეცხოველეობის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას და უზრუნველყოფენ პირუტყვის კარგ გამოზამთრებას.

ძვირფასო ამხანაგებო! შეგნებული გვაქვს რა მთელი პასუხისმგებლობა მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, ჩვენ, ვორონეჟის ოლქის მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, წინადადებით მივმართავთ საბჭოთა კავშირის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ტრაქტორისტს, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს, რემონტის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად, ვადამდე, დაამთავრონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის ტრაქტორებისა და მისაბმელი სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი, ყოველი ღონე იხმარონ, რათა აამოქმედონ მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მთელი რეზერვები სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობ

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები სწავლობენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკას

შარშან სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობაში ჯეროვან სიმაღლეზე არ იდგა კომუნისტების პოლიტიკური სწავლება. იმის გამო, რომ ბევრი მათგანი თავისი სურვილისა და პოლიტიკური მომზადების გაუთვალისწინებლად იყო ჩაბმული პარტიულ სწავლებაში, ნაკლები იყო კომუნისტთა ინტერესი თეორიისადმი. დარეჯან ქისტაურს, ვანო ბაიაშვილს და ბევრ სხვას, რომლებსაც სათანადო პოლიტიკური მომზადება არ ჰქონდათ, უჭირდათ პროგრამით გათვალისწინებული მასალის დაძლევა.

ყოველივე ამის გამო წრეში დაბალ დონეზე ეწყობოდა მეცადინეობა, თეორია მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული ცხოვრებასთან, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებთან.

პარტიის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის ბიურომ იმსჯელა სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობაში კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების საკითხზე და პარტიულ ორგანიზაციას მიუთითა ამ საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულებისათვის. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ პოლიტიკური განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს გაითვალისწინა რაიკომის ბიუროს მიერ გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი და სერიოზული მუშაობა გასწია მათი გამოსწორებისათვის. პარტბიუროს წევრებმა გულდასმით შეისწავლეს კომუნისტების პოლიტიკური ცოდნის დონე, გაითვალისწინეს თვითეული მათგანის სურვილი და უნარი. შემდინარე სასწავლო წელს სკკპ ისტორიის შემსწავლელ წრეში მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე მიმდინარეობს. პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას აქცევს მეცადინეობის იდეურ შინაარსს. პროპაგანდისტი გ. წაწალაშვილი საუბარში ფართოდ იყენებს კოლმეურნეობის ცხოვრებიდან აღებულ მაგალითებსა და ფაქტებს. თვითეული საუბარი მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლმეურნეობის, ბრიგადის, ფერმის წინაშე მდგომ ამოცანებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანებთან. პარტბიუროს წევრები სისტემატურად ეცნობიან წრის საქმიანობას, სწავლობენ მის მუშაობას.

ბევრმა კომუნისტმა დიდი ინტერესით მოჰკიდა ხელი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლას. მაინი სურვილის გათვალისწინებით პარტიულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრე, რომელშიც 25 კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი გაერთიანდა. წრეში ძირითადად მეცადინეობენ კოლმეურნეობის ბრიგადირები, მერგოლურები, მეცხოველეობის ფერმის მუშაკები, სპეციალისტები. როგორც სკკპ ისტორიის შემსწავლელ წრეში, ისე აქაც პირველი ორი თვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მასალების შესწავლას მოანდომეს. ამის შემდეგ შეუდგნენ სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხების შესწავლას. უწინარეს ყოვლისა მოისმინეს ი. გულიაშვილის საუბარი თემაზე „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი მარცვლეულის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“. ამ თემაზე საუბრისას მომხსენებელმა ილაპარაკა პარტიისა და მთავრობის დადგენილებებზე მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების შესახებ. საუბარში უხვად იყო მოყვანილი ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებული ფაქტები. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ამავე კოლმეურნეობის მემინდვრეობის მესამე ბრიგადის მუშაობას. მან განაზოგადა ბრიგადის მიღწევები ხორბლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის ბრძოლაში. მესამე ბრიგადის კოლმეურნეებმა საშუალოდ ჰექტარზე 21,7 ცენტნერი ხორბალი მიიღეს. ი. გულიაშვილი შეეხო ბრიგადის მუშაობის ორგანიზაციულ მხარეს, მექანიზმების გონივრულად გამოყენებას და დაწვრილებით ილაპარაკა იმ ხერხებსა და მეთოდებზე, რომელთა გამოყენებითაც ბრიგადის წევრებმა მარცვლეულის მაღალი მოსავალი მოიყვანეს. მოხსენებაში მარტო დადებითი მაგალითები როდი იყო მოყვანილი. გაკრიტიკებულ იქნა იმ ბრიგადების მუშაობაც, რომლებიც ჯერ კიდევ დაბალ მოსავალს იღებენ.

წრის შემდგომ მეცადინეობაზე მოსმენილ იქნა ვეტიქიმის ვ. მჭედლიშვილის საუბარი თემაზე „მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების გზები“. თემა ძირითადად აგებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. საუბარში მომხსენებელმა უნარიანად გამოიყენა ქვემოქედელ მეცხოველეთა შრომითი საქმიანობის მაჩვენებლები, აგრეთვე სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მდიდარი მასალები.

ასევე ღრმაშინაარსიანი და საინტერესო იყო აგრონომ თ. ჯღუთაშვილის საუბარი თემაზე „მარცვლეული მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია“. საუბარში დიდი ადგილი დაეთმო სიმინდის კულტურის განვითარების საკითხებს, მის მნიშვნელობას საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ბათუმის რაიონის ნოვატორის, აგრონომ ა. ჯორბენაძის გამოცდილებას სიმინდის ორი მოსავლის მიღების დარგში.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემსწავლელი წრის მსმენელებმ ყოველი საუბრის მოსმენის შემდეგ გაცხოველებით კამათობენ მომხსენებლის მიერ აღძრული საკითხების გარშემო, აწყობენ აზრთა ურთიერთგაზიარებას, დამაჯერებლად მოუთხრობენ ერთმანეთს საკოლმეურნეო წარმოებაში შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებაზე.

კონკრეტული ეკონომიკის საკითხების სწავლების მაღალ იდეურ დონეზე დაყენება კომუნისტებს ეხმარება როგორც პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლებაში, ისე საწარმოო საქმიანობაში ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

გ. ჯინჭარაძე,
წითელწყაროს რაიონული გაზეთის „ახალი შრომა“ რედაქტორის მოადგილე.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად



ხიდნადის რაიონის ულიანოვკის მტს-ის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, უკვე შეასრულა ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტის მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალის გეგმა.

სურათზე: კომკავშირელი ინჟინერ-მექანიკოსი ჯ. ბიწაძე (მარჯვნივ) ამოწმებს მექანიზატორ გ. ბეგაშვილის მიერ აწყობილ კომბაინის მოტორს.

ფოტო შ. გოკაძისა.

გავავიდეგთ მოსავლიანოგას და მეცხოველეოგის პროდუქტიულოგას

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მუშაკთა კოლექტივი, რომელმაც პატრიოტული აღმავლობით განიხილა ულიანოვკის მტს-ის კოლექტივის წერილი ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების რემონტის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების შესახებ, მხარს უჭერს მას და თავის მხრივ კისრულობს შემდეგ ვალდებულებებს:

პარტიის XX ყრილობის გახსნის დღის — 14 თებერვლისათვის დაამთავროს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი; რემონტსა და ტექმოვლაზე დაზოგოს 50 ათასი მანეთი; თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვის გეგმას გადაჭარბოს 20 პროცენტით; სატრაქტორო სამუშაოების წლიური გეგმა გაანაღდოს 120 პროცენტით და დაზოგოს საწვავის 15 პროცენტი; თვითეული ჰექტარი მიწის დამუშავების თვითღირებულება შეამციროს 2 მანეთით და 25 კაპიკით; მომავალი წლის გაზაფხულზე მთელი სასიმინდე ფართობი პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად დათესოს და ჩაატაროს ნათესების მწკრივთაშორისების დამუშავება 4 ათას ჰექტარზე.

მეცხოველეობის აღმავლობის მიზნით მექანიზატორებმა გადაწყვიტეს მომავალ წელს მტს-ის მომსახურების 9 კოლმეურნეობაში უზრუნველყონ სილოსის ჩადების სამუშაოთა ახი პროცენტით მექანიზაცია; განახორციელონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ორი ფერმის მექანიზაცია. მიმდინარე წელთან შედარებით 10 პროცენტით გაზარდონ ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა; მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა აიყვანონ 1.200 კილოგრამამდე.

ამ ვალდებულებათა შესრულებაში ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მუშაკები თავის მხრივ სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ გურჯაანის, თელავისა და მახარაძის მტს-ების კოლექტივებს.

ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორი გ. ვაშაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ბ. კაკალაშვილი, მთავარი აგრონომი ა. შავლაყაძე, მთავარი ინჟინრის მაგიერ — სახელოსნოს გამგე რ. სეფიაშვილი, მთავარი ზოოტექნიკოსი ს. ჭანტერია, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მექანიკოსი გ. მუმლაძე, მექანიკოს-კონტროლიორი ვ. სტურუა, № 2 სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი-კომბაინერი ვ. მანაგაძე, ტრაქტორისტი ი. ბარამაშვილი, № 6 ბრიგადის ბრიგადირი ნ. ტრუბაკინი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვ. ბიკაშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ნარინდოშვილი.

ვალდებულება გაანაღდეს

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობისათვის მზადებაში მორიგი გამარჯვება მოიპოვა — 22 დეკემბერს მეორე ცვლაში ვადაზე 9 დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს ტყიბულელმა მეშახტეებმა 9,8 პროცენტით გაადიდეს ქვანახშირის მოპოვება, 9,3 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და გასწიეს 2 მილიონი მანეთის ეკონომია.

• • •

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად აღებული ვალდებულება ვადამდე გაანაღდა — 20 დეკემბრისათვის 100,8 პროცენტით შეასრულა ნატურალური პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა.

პარტიის XX ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფაბრიკის კოლექტივმა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება და იკისრა წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 170 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

• • •

თბილისის ტყავის პირველი ქარხნის კოლექტივმა პირნათლად შეასრულა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. 21 დეკემბრისათვის 100 პროცენტით გაანაღდა ნატურაპროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა, შრომის ნაყოფიერება გაადიდა 6,2 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამცირა 2,8 პროცენტით და გასწია 96 ტონა ტყავნედლეულის ეკონომია.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე სამშობლოს წლიური გეგმის გადამეტებით მისცეს 50 ტონა ტყავი.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის არ ზრუნავენ

ოჩამჩირის რაიონში არიან კოლმეურნეობები, რომლებიც ვერ დაიკვეხნიან მეცხოველეობაში კარგ მუშაობას. გასულ სამეურნეო წელს ზოგიერთ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია წველადობის დავალება. სამწუხაროა ის არის, რომ ეს ცუდი მდგომარეობა ახალ სამეურნეო წელსაც გრძელდება. გასული სამეურნეო წლის უკანასკნელ თვეში — სექტემბერში რაიონში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო 121 ლიტრი რძე, ოქტომბერში — 27 ლიტრი რძე, ხოლო ნოემბერში — 24 ლიტრი. ცალკეულ კოლმეურნეობებში წველადობა კიდევ უფრო დაეცა. მოვიყვანთ ფაქტებს.

სოფელ არაგიჩის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ე. ოგანიანი) მეცხოველეობა თავმინებებული დარგია. აქ არ ზრუნავენ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის, წველადობის ამაღლებისათვის, კეთილმოწყობილი ბინებითა და კარგი საკვებით მათი უზრუნველყოფისათვის. ცუდი მოვლის შედეგად კოლმეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს ერთ საფურაჟე ძროხაზე 358,8 ლიტრი რძე მიიღო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600 ლიტრისა. მოსალოდნელი იყო, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ამ სავალალო მდგომარეობიდან სათანადო დასკვნას გააკეთებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ფერმის მუშაობის ადგილზე გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ აქ არ იგრძნობა ზრუნვა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ფერმა დაკომპლექტებული არ არის სპეციალისტებით. ეს რატომღაც არ ადარდებს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ე. ოგანიანს.

ფერმის მწყემსმა მ. მინოსიანმა საუბარში განაცხადა: — ათი დღის წინ ფერმაში გამოიარა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ოგანიანმა. ჩვენ ვაცნობეთ ფერმაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა. დაგვპირდა, რომ საჩქაროდ მიიღებდა ზომებს ფერმის შენობის შესაკეთებლად, დამატებით გამოყოფდა ორ მწყემსს და ორ მწველავს. სამწუხაროდ, დაპირება დაპირებად დარჩა.

1951 წელს აშენებულ სადგომში მოთავსებულია ასზე მეტი პირუტყვი, მათ შორის 70 ძროხა. აღნიშნული შენობა განკუთვნილია 80 სული პირუტყვისათვის, მათ შორის 40 ძროხისათვის. სადგომის იატაკი დამპალია, ბევრგან ჩატეხილია, შიგ ფეხი უვარდებათ ძროხებს. არ გააქვთ ნაკელი, პირუტყვს ცუდად კვებავენ, დილით დაუჭრელად ჩაუგდებენ ჩალას და მცირეოდენ დასილოსებულ მასას, ხოლო საღამოს მარტო ჩალას აძლევენ. არც წყლის ადგილზე დალევინების საქმეა მოგვარებული. მიუხედავად ძალიან ცუდი ამინდებისა, პირუტყვს დილიდანვე გარეთ ერეკებიან. საღამომდე ცის ქვეშ დაეხეტებიან მეწველი ძროხები და სხვა პირუტყვი. მეწველი ძროხებისათვის კონცენტრირებული საკვების მიწოდებაზე ჯერ არავის უფიქრია. კოლმეურნეობის ბუხჰალტრის ვ. საბანოვის განკარგულებით ფერმას ყოველ 15 დღეში მხოლოდ სამ ლიტრ ნავთს აძლევენ, რაც მხოლოდ სამ დღეს შეიძლება ეყოს მწყემსების ბინის განათებას, პირუტყვის სადგომი კი გაუნათებელია. ამჟამად ფერმაში მხოლოდ ერთი მწყემსი მუშაობს, მეორე მწყემსი ზ. თოფჩიანი კი 13 დღეა დაკარგული ძროხის საძებრად დადის მეზობელ სოფლებში. ეს მდგომარეობა კარგად იცის ფერმის გამგემ კომუნისტმა ლ. მინოსიანმა, რომელიც იშვიათად მიდის ფერმაში. მდგომარეობის გამოსასწორებლად იგი ზომებს არ იღებს. ასევე უდარდელად შეჰყურებს ამ საქმეს პარტორგანიზაციის მდივანი ა. მინოსიანი.

პირუტყვის ცუდმა კვებამ და მოუვლელობამ უარყოფითი გავლენა იქონია წველადობაზე. ოქტომბერ-ნოემბერში ფერმაში 29 ძროხა იწველიდა. მათ შორის 13-მა პირველი ოქტომბრის შემდეგ მოიგო ხბო. ორ თვეში — ოქტომბერ-ნოემბერში თვითეული ძროხის საშუალო წველადობა 27 ლიტრს შეადგენდა. ასეთივე მდგომარეობაა დეკემბერშიც.

ფერმის მუშაკებს შორის ჩაშლილია პოლიტიკურ-ძასობრივი მუშაობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობაზე.

ცუდი მდგომარეობაა სოფელ ტამის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ოქტომბერსა და ნოემბერში საშუალოდ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 25 ლიტრი რძე. სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობა „ალაშარაში“ სექტემბერში თვითეული ძროხის საშუალო წველადობა 83,8 ლიტრს შეადგენდა, ოქტომბერ-ნოემბერში კი — 18,4 ლიტრამდე დაეცა. მდგომარეობა ბევრად უკეთესი არ არის აგრეთვე სოფელ ღვადის სუვოროვის სახელობის, ამიუბეის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობებში, ჩამორჩება ახალი კინდღის კოლმეურნეობა „წინსვლაც“.

ფაქტები მოწმობენ, რომ პირუტყვის გამოზამთრებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში ოჩამჩირის რაიონში საგანგაშო მდგომარეობაა, მაგრამ პარტიის რაიკომს და რაისაბჭოს აღმასკომს ჯეროვანი არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. განა ეს შესაწყნარებელია?

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პრემიები უხვი მოსავლის მიღებისათვის

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ გეგეჭკორის კიროვის სახელობის კოლმეურნეობას ყოველწლიურად მარცვლეულის უხვი მოსავალი მოჰყავს, წელს აქ გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 18,7 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. შრომადღეზე ავანსად გასცეს 7 კილოგრამი სიმინდი.

სტახანოველმა კოლმეურნეებმა დ. სულავამ, აკ. ცაგარელმა და სხვებმა მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანისათვის პრემიის სახით თითო ტონაზე შეტი სიმინდი მიიღეს.

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასახმარებლად

ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრის შესახებ

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სოციალიზმ-კომუნიზმ-ის ბაზისზე ბოლო ასეული წელიწადი — სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის აქტიური მხარდაჭერითა და უანგარო დახმარებით უკვე რამდენიმე წელია ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში წარმატებით მიმდინარეობს სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ უკლასო კომუნისტური საზოგადოება განვითარებას ორი ფაზა აქვს: მისი დაბალი ფაზაა სოციალიზმი, მაღალი კი — კომუნიზმი. სოციალიზმი კაპიტალისტური საზოგადოებიდან დაიბადა და არ შეიძლება მას არ ატარებდეს ძველი კლასობრივი საზოგადოების ლაქები, გადმონაშთები. სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში ეს გადმონაშთები სავსებით უნდა იქნან აღმოფხვრილი და მხოლოდ კომუნიზმი იქნება საზოგადოების განვითარების ის საფეხური, როდესაც ძველი კლასობრივი საზოგადოების არავითარ გადმონაშთებს ადგილი აღარ ექნება.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების ისტორიულმა გამოცდილებამ ჩვენს ქვეყანაში სავსებით დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების წინასწარმეტყველება, რომ სოციალიზმს არ შეიძლება არ ახლდეს ამ საზოგადოების მშობიარობის ლაქები, საიდანაც იგი დაიბადა. სწორედ ამიტომ არის სოციალიზმი კომუნისტური საზოგადოების დაბალი და არა მაღალი ფაზა.

რა მდგომარეობა განაპირობებს იმას, რომ სოციალიზმის პერიოდში ადგილი აქვს კაპიტალიზმის გადმონაშთებს, რა არის ამის მიზეზი? ჯერ-ერთი, როგორც მარქსისტული ფილოსოფია გვასწავლის, საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას, მაგრამ მათი განვითარების კანონზომიერება ისეთია, რომ საერთოდ ცნობიერება ჩამორჩება ყოფიერებას; ადამიანთა შეგნების დონე ჩამორჩება მათს ეკონომიურ მდგომარეობას. ეს კანონზომიერება მოქმედებს სოციალიზმამდელ საზოგადოებრივ ფორმაციებში და განაგრძობს მოქმედებას სოციალისტურ საზოგადოებაშიც.

სოციალისტურ ეკონომიკაში აღარა გვაქვს კაპიტალიზმის გადმონაშთები, მაგრამ ჩვენი ეკონომიკის ახლანდელ მდგომარეობას ჩამორჩება ადამიანთა შეგნების დონე და ეს კერძოდ თავს იჩენს მათ შეგნებაში კაპიტალიზმის მრავალფეროვანი გადმონაშთების გამოვლინებით ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

მეორე, საბჭოთა ქვეყანას დიდ ხანს უხდებოდა მარტო არსებობა მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, მეორე მსოფლიო ომის შედეგად მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა სახალხო-დემოკრატიული წყობილება, წარმოიშვა სოციალიზმისა და დემოკრატიის მძლავრი ბანაკი 900-მილიონიანი მოსახლეობით, რომელიც დაუპირისპირდა კაპიტალისტურ ბანაკს.

კაპიტალისტური ბანაკი ყოველი ღონისძიებით ცდილობს დაუძლეურის და ძირი გამოუთხაროს სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს. კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული წრეები არაფერს ზოგავენ იმისათვის, რომ ფართოდ აწარმოონ ძირგამომთხრელი მუშაობა საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ამ მიზნისათვის სახსრების გაღების შესახებ ღებულებენ ოფიციალურ კანონს, როგორც ეს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1951 წლის 10 ოქტომბერს.

კაპიტალისტური ბანაკის არსებობა ზოგჯერ გაჟღენთავს ახდენს, აცოცხლებს კაპიტალიზმის გადმონაშთებს სოციალისტური საზოგადოების ცალკეულ ადამიანთა შეგნებაში, განსაკუთრებით კი მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში და არამტკიცე ნებისყოფის ადამიანებში.

ადამიანთა შეგნებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში კაპიტალიზმის გადმონაშთები მრავალი სახით ვლინდება. მათგან ზოგიერთ მთავარს მივაქცევთ ყურადღებას.

კაპიტალიზმის გადმონაშთები ვლინდებიან შრომისადმი ადამიანების დამოკიდებულებაში. შრომა ყოველი საზოგადოების არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. სოციალიზმის დროს შრომა, რომელიც წინათ სათაკილო საქმედ იყო მიჩნეული, გადაქცეულია ღირსების, დიდების, სამამაცისა და გმირობის საქმედ. მილიონობით მშრომელი ადამიანი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული და თავდადებულ შემოქმედებითს შრომას ეწევა სამშობლოს საკეთილდღეოდ. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ჩვენში ადამიანები, რომლებიც გაურბიან პატიოსან მუშაობას, არღვევენ შრომის დისციპლინას, არაფერს ან ცოტას აძლევენ სახელმწიფოს თავისი შრომით და მისგან კი უნდათ რაც შეიძლება მეტი მიიღონ. ისეთი ადამიანები ხელს უშლიან განაწილების სოციალისტური პრინციპის განხორციელებას და აბრკოლებენ საზოგადოების განვითარებას. შრომისადმი უარყოფითი, არაკომუნისტური დამოკიდებულება კაპიტალიზმის გადმონაშთია და მისი დაძლევის გზით უნდა მივიდწიოთ ისეთ მდგომარეობამდე, რომ შრომა მოდაიქცეს ყოველ ადამიანის საპატიო მოვალეობად და სასიცოცხლო მოთხოვნილებად. ეს სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

კაპიტალიზმის გადმონაშთები თავს იჩენენ საზოგადოებრივი საკუთრებისადმი ადამიანების დამოკიდებულებაში. საბჭოთა კავშირში ბატონობს საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური წყობილების მატერიალურ საფუძველს. მისი შოვლა და დაცვა ყოველი საბჭოთა მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა. ამ მოვალეობას მილიონობით საბჭოთა ადამიანი მთელი კეთილსინდისიერებით ასრულებს, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ჩვენში ისეთები, რომლებიც გულგრილ, უყაირათო დამოკიდებულებას იჩენენ სოციალისტური საკუთრებისადმი, ხელყოფენ, ანიავებენ მას და ამით სერიოზულ ზიანს აყენებენ ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებას. ეს არის კაპიტალიზმის გადმონაშთის ერთ-ერთი გამოვლინება, რომელის აღმოფხვრა სერიოზულად შეუწყობს ხელს სოციალისტური საზოგადოების შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, კომუნიზმში გადასვლისათვის ნიადაგის მოამზადებას.

სოციალიზმის აშენების შედეგად ჩვენში დამკვიდრდა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა, რაც წარმოადგენს ადამიანთა შორის ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების საფუძველს. ჩვენი ქვეყნის მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ხასიათის კოლექტივების დიდი წარმატებანი, მთელი საზოგადოების ისტორიული მიღწევები განპირობებულია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამკვიდრებით და ამ საფუძველზე საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით. ისტორიას არ ახსოვს ადამიანებისათვის ისეთი დაუჯერებელი ზრუნვა, როგორიც ჩვენშია. პარტია და მთავრობა ზრუნავენ ხალხისათვის; ერები, კლასები, ცალკე ჯგუფები და პიროვნებანი ზრუნავენ ერთმანეთისათვის.

მეგობრობა, თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება ჩვენი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნებია. მაგრამ ცხოვრების ბევრ დარგში ჯერ კიდევ გვჭდევნიან ბიუროკრატები, კარიერისტები, ეგოისტები, ყოყოჩები, მატყუარები, მლიქვნელები, ქურდები და სხვა უარყოფითი ტიპის ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან და ხელს უშლიან ადამიანთა შორის კეთილმეგობრულ დამოკიდებულებას, ამხანაგურ თანამშრომლობას და ამით აფერხებენ ჩვენს საერთო მუშაობას. საჭიროა ულმობელი ბრძოლა ასეთი ადამიანების წინააღმდეგ. ისინი უნდა ვამხილოთ, შეეზღუდოთ, გავკიცხოთ, გავაცალკევოთ და გარდავქმნათ ყველა საშუალების გამოყენებით. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ სოციალისტური საზოგადოება არ გავშინდეთ ასეთი ადამიანებისაგან, ისე შეუძლებელი იქნება კომუნიზმში გადასვლა.

ჩვენი ქვეყნის ერთა ურთიერთობაში უდიდესი ცვლილებები მოხდა. წინანდელი ბურჟუაზიული ერები სოციალისტურ ერებად გარდაქმნენ. ეროვნული კარჩაკეტილობა, შუღლი და მტრობა ისტორიის ჩაბარდა. საწარმოო ძალების თანაბარი განაწილების პოლიტიკამ წინათ ჩამორჩენილი ერები ეკონომიურად და კულტურულად აღორძინა და განვითარებულ ერებს გაუთანაბრა. წარმოიშვა და განმტკიცდა ერთა შორის ურღვევი მეგობრობა, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების უდიდეს მამოძრავებელ ძალას. საბჭოთა კავშირში შემავალი მომცე ხალხები ერთმანეთისათვის აქტიური მხარდაჭერითა და ძმური თანამშრომლობით აშენებენ დიად კომუნისტურ საზოგადოებას.

ეროვნული ურთიერთობის სფეროში ასეთ დიდ წარმატებათა მიუხედავად, ჩვენში კიდევ არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის გადმონაშთებს ატარებენ. ისინი უგულებელყოფენ ერთა თანასწორუფლებიანობის ლენინურ-სტალინურ პრინციპს. ერთი მხრივ იჩენენ ქედმაღლობას პატარა ერებისადმი და მეორე მხრივ მიისწრაფიან ეროვნული კარჩაკეტილობისაკენ. ისინი ხელს უწყობენ იმას, რომ გაღვივდეს ეროვნული სიძულვილის გრძნობა და ინტერნაციონალიზმისადმი მტრობა, რომელიც ზიანს აყენებს ერთა შორის მეგობრობის განვითარებას. კაპიტალიზმის ეს გადმონაშთი დაძლეულ უნდა იქნას ნაციონალისტური ელემენტების სრული აღმოფხვრით და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მასების აღზრდის გაძლიერებით.

კაპიტალიზმის გადმონაშთები თავს იჩენენ ოჯახური ურთიერთობის სფეროში. სოციალიზმის მშენებლობის პროცესში გარდაიქმნა ძველი ოჯახური ურთიერთობა და შეიქმნა ახალი საბჭოთა ოჯახი, რომელიც ბურჟუაზიულ ოჯახზე მაღლა დგას და მილიონობით შესანიშნავი ადამიანის აღზრდის კერას წარმოადგენს. მაგრამ ამ ახალ ოჯახურ ურთიერთობაში ეხვეტებით კაპიტალიზმის ისეთი გადმონაშთები, როგორიც არის: შეუღლების შემთხვევები წმინდა ეკონომიური ანგარიშის საფუძველზე და ურთიერთ ღრმა სიყვარულის გრძნობის უგულებელყოფა, ზოგიერთი მშობლის უყურადღებობა შვილების აღზრდისადმი, ზოგიერთი შვილის ყოლგრილობა ავადმყოფი და შრომისუნარმოკლებული მშობლებისადმი, ღირსეული მეუღლისადმი ერთგულების არასაკმაოდ დაცვა, ამორალიზმის ელემენტები და ა. შ. სწორედ ძველი ოჯახური ურთიერთობის ეს გადმონაშთები უწყობენ ხელს იმას, რომ ჩვენში ზოგი ოჯახი ირღვევა, ხოლო ზოგი არასაკმაოდ შეხმატკბილებულად ცხოვრობს.

კაპიტალიზმის გადმონაშთები, რომლებიც ოჯახური ურთიერთობის სფეროში გვაქვს, სერიოზულად აბრკოლებენ ჩვენს განვითარებას. მათი აღმოფხვრის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება საბჭოთა ოჯახი, რომელიც სოციალისტური საზოგადოების სასიცოცხლო უჯრედს შეადგენს.

კაპიტალიზმის გადმონაშთს წარმოადგენს საერთოდ ყველაფერი ის, რაც სოციალიზმის ჯანსაღ სხეულს შემორჩენია ძველი საზოგადოებიდან უარყოფითი მოვლენების სახით და აბრკოლებს, სერიოზულად უშლის ხელს მის განვითარებას. სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი განვითარების ინტერესები მოითხოვენ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოთ კაპიტალიზმის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებაში, მოვიცილოთ წყეული წარსულის მთელი სიბინძურე.

რა გზებითა და საშუალებებით შეგვიძლია კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრა ადამიანთა შეგნებაში?

სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენმა ქვეყანამ უნდა განიცადოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. ამ აღმავლობის პროცესში საბჭოთა ადამიანების გარდაქმნა იქით წარიმართება, რომ ერთი მხრივ ამაღლდეს მათი კულტურის საერთო დონე და მეორე მხრივ სავსებით აღმოიფხვრას მათს შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთები. მაგრამ ეს თვითდინებით არ მოხდება, არამედ საჭიროა სისტემატ

სანიმუშო სამედიცინო მომსახურება სოფლის მშრომელებს

...სულ უფრო ფართოვდება სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი მარნეულის რაიონში. ამჟამად რაიონის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება ერთი რაიონული საავადმყოფო 35 საწოლით, 4 საუბნო საავადმყოფო, 8 სასოფლო ამბულატორია, საფერშლო პუნქტები, საშობიაროები, სანეპიდსადგური და სხვ. არკვეული მუშაობა მიმდინარეობს ფოლიკლინიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად, გადადგმულია პირველი ნაბიჯები დისპანსერული მეთოდის დასანერგავად.

მარნეულის რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში სეზონური ნაკლოვანებებიც არის. რაიონული საავადმყოფო დაბა შუმანიანია. შუმანიანი რაიონული ცენტრის საკმაო მანძილით არის დაშორებული, მიტომ ცენტრის მცხოვრებლები მოკლებული არიან სტაციონარულ მკურნალობას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რაიონში გზები კეთილმოწყობილია, გასაგები გახდება, რა ძნელეებთან არის დაკავშირებული საავადმყოფოთა ჰოსპიტალიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ სასწრაფო დახმარების მანქანა სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ზოგჯერ თვეობით მოქმედოდ დგას. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის ამ მდგომარეობას ითვალისწინებდა, როცა ხუთიოდე წლის წინათ მარნეულში საავადმყოფოს შენებლობა დაიწყო. მაგრამ მას შემდეგ, როდესაც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ოლო საავადმყოფოს შენებლობას ბოლოვრცელი არ ეღირსა. ამიტომ არის, რომ რაიონის ექიმთა წრეში ხშირად ამბობენ, ჩვენი საავადმყოფო სურათის ცოხეს ჰგავს, ვერ იქნა და ვერ, შენებლობა ბოლომდე ვერ მიიყვანეს.

სამედიცინო მომსახურების ხარისხს ...ავს დაღს ასვამს ისიც, რომ რაიონი ...ოლიანად დაკომპლექტებული არ არის ...ექიმებით. ახქერფის საუბნო საავადმყოფოში ქირურგი არა ჰყავთ, ხოლო ...აიონულ საავადმყოფოში — ვენეროლოგი.

...რაიონული საბჭოს აღმასკომი და ...ასოფლო საბჭოების აღმასკომები ...ალებ ყურადღებას უთმობენ სამკურნალო დაწესებულებათა კეთილმოწყობას. საფერშლო პუნქტების უმეტესობა შეუფერებელ ბინებშია, ...ათ საკმაო ინვენტარი არა აქვთ. განსაკუთრებით კეთილმოუწყობელია ...ბანის, ჯანდარის, სიონის საფერშლო პუნქტები. სასოფლო საბჭოები, რომელთა ტერიტორიაზეც ეს საფერშლო პუნქტებია, ყურადღებას არ აქცევენ ...ამ პუნქტებში მუშაობის ნორმალური ...ირობების შექმნას. ამაზე 4 ოქტომბერს იმსჯელა რაისაბჭოს აღმასკომმა, მაგრამ მას შემდეგ ორ თვეზე მეტი ...ავიდა, შედეგი კი არა ჩანს.

მარნეულის რაიონში 6 საკოლმეურნეო სამშობიარო სახლი ითვლება, ფაქტიურად კი მხოლოდ ოთხი მოქმედებს. ...ოფლებში ქაფანახჩისა და წერაქვის ...ონის უქონლობის გამო ჯერაც არ გახსნილან სამშობიარო სახლები. რაიონის აღმასკომმა ქაფანახჩისა და წერაქვის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს დაავალა სამშობიარო სახლებისათვის სათანადო შენობების გამოყოფა და მოწყობა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ განხორციელებულა.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საავადმყოფოების მომარაგებას კვების პროდუქტებით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას სანიმუშო სანიტარული წესრიგის დაცვა. სამწუხაროდ, ზოგჯერ თვით სამედიცინო დაწესებულებებშიც ირღვევა სანიტარული წესრიგი. მაგალითად, შუმანიანის პოლიკლინიკაში რეგისტრატურა და ლაბორატორია ერთ ოთახშია, ხოლო მარნეულის ამბულატორიის მოსაცდელ დარბაზს ცოცხებისა და ჩვრების შესანახავადაც იყენებენ.

მედიცინის ყველა მუშაკი სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდისტი უნდა იყოს. ისინი მოვალენი არიან მაგალითი მისცენ სხვებს ჰიგიენური წესების დაცვაში, აღზარდონ და გაიფართოონ სანიტარული კულტურის დამცველთა რიგები. მარნეულში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. სისტემატურად არ ეწყობა ლექციამოხსენებები სამედიცინო და სანიტარულ თემებზე, ჯერ კიდევ ვიწროა საზოგადოებრივი სანიტარული აქტივის წრე.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის წამყვან სპეციალისტთა მჭიდრო კონტაქტს სასოფლო რაიონების სამკურნალო დაწესებულებებთან. გამოცდილების მქონე ექიმებს შეუძლიათ ფასდაუდებელი დახმარება გაუწიონ ახალგაზრდა ექიმებს. მაგრამ რესპუბლიკის წამყვანი სპეციალისტები მარნეულის რაიონის იშვიათი სტუმრები არიან. ზოგჯერ პირდაპირ უსულგულობის ფაქტებთან გვაქვს საქმე. 23 ნოემბერს რაიონულ საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი მიიღეს, მეორე დღესვე საავადმყოფომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დეპეშით სთხოვა კონსულტაციისათვის სპეციალისტი გინეკოლოგი გაეგზავნათ, მიუხედავად იმისა, რომ თხოვნას ისინი ყოველდღიურად იმეორებდნენ, მხოლოდ 29 ნოემბერს ღამით „მოახერხეს“ თბილისიდან სპეციალისტის გაგზავნა. ასეთი „კონტაქტს“ კომენტარი არ ესაჭიროება.

მშრომელთა სამედიცინო მომსახურების საქმეში ნაკლოვანებანი გაცილებით მცირე იქნებოდა, რაიონული და სასოფლო საბჭოები უფრო კონკრეტულად და ოპერატიულად რომ ხელმძღვანელობდნენ ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, სესიებზე განიხილავდნენ ჯანმრთელობის დაცვის აქტუალურ საკითხებს, რაზმავდნენ დეპუტატებს, აქტივს რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ვალია მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა გაუწიოს მარნეულის რაიონის მედიცინის მუშაკებს მშრომელთა სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

ვ. მეგუაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

თელავის აბრეშუმის ქარხანა

ფაბრიკის კოლექტივში პარტიის XX ყრილობისათვის მზადებაში საუკეთესო წარმატებებს აღწევს ინსტრუქტორ-ბრიგადირის ნ. მაღლაკელიძის ცვლა, რომელიც შრომითს ვახტზე დგას. სურათზე: ნ. მაღლაკელიძე (მარცხნივ) და მოწინავე ამომხვევი ნ. შპაკი.

ფოტო შ. გოჭაძისა.

საკოლმეურნეო კანჯრები და კლუბები

სტალინირი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფლის ეკონომიკის ზრდასთან ერთად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებში ფართოდ გაშალა კანტორებისა და კლუბების კაპიტალური ნაგებობათა მშენებლობა.

სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობაში ახლახან დაამთავრეს საკოლმეურნეო კლუბისა და კანტორის მშენებლობა. ახლად აგებული სოფლის კლუბი 300 მაყურებელს იტევს.

საკოლმეურნეო კლუბებისა და კანტორების კაპიტალური შენობები ააგეს ამავე რაიონის სოფელ სარაბუკის ვოროშილოვის სახელობისა და სოფელ ქსუისის ლენინის სახელობის, ლენინგორის რაიონის სოფელ ძუკათიყაუს კოლმეურნეობებში.

საკოლმეურნეო კანტორებისა და კლუბების მშენებლობას შეუდგნენ ზნაურის რაიონის სოფლების მუგუთისა და ყორნისის კოლმეურნეობებში.

კრედიტი ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს, ეხმარება მათ კრედიტით და საშენი მასალებით. სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ქალაქ ზუგდიდის ქუჩებს ყოველწლიურად მუშა-მოსამსახურეთა მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი ემატება.

მიმდინარე წელს ქალაქის ინდივიდუალურმა ბინათმშენებლებმა — მუშებმა, მოსამსახურეებმა და სხვ. — სახელმწიფოსაგან სესხად 350 ათას მანეთზე მეტი მიიღეს.

შაორის ქვანახშირი

რეპორტაჟი

ობდა ფანჯრებს გარეთ მძვინვარე სუსხისა და ნამქერისაგან. ვანო ბაქრაძე — კავკასიის ნახშირსაძიებო გეოლოგიური ტრესტის მმართველი, რომელიც ამ მთაში მომუშავე გეოლოგების ხშირი სტუმარია, ფანჯარასთან მივიდა, ყინულით გათოშილ მინაზე დანისწვერით პატარა ადგილი ჩამოფხიკა, შემდეგ ხელთათმანით მოწმინდა და შორს თეთრად გადალესილ ქედს მიაპყრო თვალი.

— ნაქერალა! რა უფრო ადრინდელი წარმოშობისაა გეოლოგიურად, — მოგვმართა მან კითხვით, — ნაქერალას ქედი თუ ტყიბულის საბადო?

ბაქრაძემ პაპიროსის ბოლით შეათბო ფანჯრის მინაზე მრგვლად მოფხეკილი ადგილი, კვლავ ხელთათმანით მოწმინდა. დაისის სხივებს ახალი თოვლით დახუნძლული ფიქვისა და ნაძვის წვერები კელაპტრებივით გაებრწყინებია, ტოტებიდან აშლილი, ქარით აფორიაქებული ფანტელები ჰაერში დაფარფატებდნენ.

— თუ რატომ დაგვაინტერესა ამ კითხვამ, — განაგრძობდა ვანო ბაქრაძე, — ამაზე ეს ამხანაგი — ბორის შელაძე, ტყიბულის გეოლოგიური პარტიის მთავარი ინჟინერი, გიამბობთ...

* * *

... უხსოვარ დროს იქ, სადაც ახლა ტყიბულის ქვანახშირის საბადოებია, ტბა ან ღრმა ჭაობი უნდა ყოფილიყო. ამ ჭაობში ჩაიძირა იმდროინდელ მცენარეთა მასა, ეს მასა ჭაობში თუ ტბაში დაილექა, წარმოიქმნა ქვანახშირი.

ტბაში ნალექის გავრცელება ყოველთვის ემორჩილება ბუნების გარკვეულ კანონს. ნაპირებისაკენ ნალექის ფენა ეფიერო თხელია, ხოლო ცენტრისაკენ — უფრო სქელი.

როცა გეოლოგები ტყიბულის ერთ-ერთი შახტის ფენის გავრცელების შესწავლას შეუდგნენ, მათი ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: ნაქერალის ქედის სიღრმისაკენ ქვანახშირის ფენი თანდათან სქელად ვრცელდებოდა, ხოლო აქეთა მხრისაკენ ოგივე ფენი თანდათან ზევით ამოდიოდა, ასევე თანდათან თხელი ხდებოდა.

რაშია საქმე? თუ აქ ჭაობი ან ტბა იყო, უამისოდ კი ქვანახშირი არ წარმოიქმნებოდა, მაშასადამე, არ იყო ნაქერალის ქედი, იგი შემდგომ გეოლოგიურ პერიოდებში წარმოიშვა. მილიონი წლების განმავლობაში დიად გეოლოგიურ ძვრათა შედეგად ნაქერალის ქედმა გაწყვეტა ეს ჭაობი, ერთი ნაწილი ქვეშ მოიქცია, მეორე ნაწილი გორაკებით ამობურცა.

საჭირო იყო ჭაბურღილებით მიწის წიაღის სიღრმის დაზვერვა ორი მიმართულებით, ქვანახშირის ფენის გავრცელების იმ მიმართულებით, საითაც ეს ფენა თხელდებოდა და თუ ეს შედეგს არ მოგვცემდა...

1947 წელი იყო. ფენის გათხელების მიმართულებით დაზვერვა უმედეგო გამოდგა. მოვიდა განკარგულება ძიების შეჩერებისა და მაძიებლების უფრო მახლობელი ფარგლების შესწავლაზე გადაყვანის შესახებ. დრო გადიოდა.

გეოლოგებს, დაუდეგარ საბჭოთა პატრიოტებს მოსვენებას არ აძლევდა იმაზე ფიქრი, თუ რატომ ვრცელდებოდა ტყიბულის ერთ-ერთი შახტიდან ქვანახშირის ფენი მზარდი სიმძლავრით ქედის სიღრმისაკენ. ჭაბურღილის სიღრმეზე ყოველი მეტრის გათხრა სახელმწიფოს მრავალი ასი მანეთი უჯდება. საჭირო იყო გაბედვა, ღრმა ჭაბურღილის გათხრა.

შაორის ველს ...
ფელია — თლული. გეოლოგებმა შეზანში ეს სოფელი ამოიღეს და გადაწყვიტეს მის მახლობლად დაეწყოთ პირველი საძიებო ჭაბურღილის ამოღება. მიდიოდა ბურღი მიწის სიღრმეში, მაგრამ... არავითარი შედეგი არ ჩანდა. 600 მეტრი სიღრმე, 700 მეტრი, 800 მეტრი... ბურღის ფუჭი კონგლომერატის მეტი არა მოჰქონდა რა.

...კიდევ ნახევარი მეტრი სიღრმეც, და ბურღმა გიშერივით პრიალა ქვანახშირი ამოზიდა მიწის ზედაპირზე.

— ვაშა! — წამოიძახა ვიღაცამ.

— არის შაორის ქვანახშირი! სიხარულმა მოიცვა ჭაბურღილზე მომუშავეთა გული, ხოლო რადიოტელეგრამა სასიხარულო ამბავი შაორის მიწის წიაღში ქვანახშირის აღმოჩენისა თბილისსა და მოსკოვში მიტანეს.

ცოტა ხნის განმავლობაში ნახშირმაძიებლებმა ახალი ჭაბურღილები აღმართეს ყოველი მიმართულებით. ახლა უკვე გამორკვეულია ტყიბულქვანახშირის საბადოს ამ დიდი ველის პირველი საექსპლოატაციო კონტური, შერჩეულია ადგილი პირველი შახტის ასაგებად. ამ შახტის მშენებლობა მომავალ 1956 წელს უნდა დაიწყონ. ტყიბულის გეოლოგიური პარტიის კოლექტივმა მიზნად დაისახა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად შახტმშენებლებს ჩააბაროს ეს პირველი, დეტალურად შესწავლილი საშახტო ველი.

ჭაბურღილთა აყურული კოშკები მალე აღიმართება რიონის ხეობის მრავალ ადგილას.

კიდევ რამდენიმე წელიწადი, და მრავალი ახალი შახტი შეემატება საქართველოს ქვანახშირის მრეწველობას. ამ შახტებისათვის „სამუშაო ტერიტორიების“ შემოფარგლა-დადგენაზე მუშაობენ ახლა ენთუზიასტი ნახშირმაძიებლები, ბურღვის უფროსი ოსტატები — აკაკი გოგოლაშვილი, გრიგოლ ლუკაშკო, კონსტანტინე შარაბიძე, გრიგოლ ლიაშჩენკო, ალექსი ჩერეპოვი, სერგო ანთიძე, ეგორ სავინოჩკინი, ბორის ბუბაშვილი, ელექტრიკოსი ნოე ამოთია, მექანიკოსი ზურაბ ლეკვეიშვილი, გეოლოგები ლეონ თვალაძე, მამია გელაშვილი, გრიგოლ ბასეიშვილი, მთავარი გეოლოგი თედორე ფარცვანია, ტრაქტორისტები დიმიტრი კელავფლი, ნოდარ ნადარეიშვილი, ე. ეფიმენკო და ბევრი სხვა.

ტროტუარებითა და ასფალტირებული გზებით როდი უხდებათ მათ ყოველდღე სიარული თავიანთ სამუშაო ადგილებამდე—ჭაბურღილებამდე. ზამთარ-ზაფხულს, წვიმასა და დარში, თოვლსა და ქარბუქში წუთითაც არ ჩერდებიან ე. წ. საკრელიუსო დანადგარები, მიწის წიაღში ამოძრავებული ბურღები სიღრმისაკენ მიიწევენ ამბროლაურისა და ტყიბულის რაიონების, მთელი რესპუბლიკის მშრომელთა გასახარებლად, ტყიბულის ქვანახშირის ფენათა დიდ მანძილზე გავრცელების დასადასტურებლად, ხოლო ყველამ იცის, რომ ქვანახშირის მძლავრი ფენების გახსნის საჭიროება რკინიგზას მიიყვანს დანიშნულებისამებრ.

* * *

ბინდი გადაეფარა მიდამოს. აშოლტილი ნაძვებისა და ფიჭვების სილუეტები ფანტასტიკური გარეგნობით გამოისახენ ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ფონზე. ქარი არ ცხრებოდა, ხოლო დარაბადახურულ ოთახში ღუმელთან საუბარი გრძელდებოდა — საინტერესო საუბარი საბჭოთა გეოლოგების თავდადებულ შრომაზე, შაორის მიწის წიაღში უამრავი სახალხო დოვლათის აღმოჩენაზე.

დ. ლომთაძე.

მშობელთა კომიტეტების რაიონული გაერთიანება

...კარგი ინიციატივა გამოიჩინეს საქართველოს ...ლკკ თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის ...ონიკომმა და სახალხო განათლების რაიონულმა ...ნყოფილებამ. მათ ამას წინათ მოაწყეს მოსწავლეთა მშობლების პირველი კონფერენცია.

...მთელ რიგ სკოლებში შექმნილი მშობელთა ...მიტეტები ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან, ...ბრძანდებიან პედაგოგიურ კოლექტივს სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაში. მაგრამ ჯერ კიდევ არ ხდება მშობელთა ...მიტეტებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარება მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. ...ამიტომ კონფერენციაზე დაისვა მშობელთა კომიტეტების რაიონული გაერთიანების შექმნის საკითხი.

...მოსმენილ იქნა რაიონული კონფერენციის ...ორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის კ. ვაისერმანის მოხსენება „მშობელთა კომიტეტების რაიონული გაერთიანების ...შექმნისა და მისი ამოცანების შესახებ“ და სასაბჭო განათლების რაიონული განყოფილების ...ინსპექტორის გ. ნიკოლაიშვილის ინფორმაცია ...მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგების შესახებ.

პირველი მეოთხედის შედეგების მიხედვით ...რაიონის 9.938 მოსწავლიდან სწავლაში ჩამორჩებოდა 2.159 მოსწავლე, ე. ი. 21,7 პროცენტი. ...ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა დისციპლინა. ...მოსწავლეებმა არასაპატიო მიზეზით გააცდინეს 27.836 გაკვეთილი.

...ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში პედაგოგთა ...კოლექტივთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ...ენდა შეასრულონ მშობელთა კომიტეტებმა, ...მშობლებმა.

...კონფერენციაზე მოყვანილ იქნა მრავალი ...ფაქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ზოგიერთი ...მშობელი უპასუხისმგებლობას იჩენს თავისი ...შვილის აღზრდაში. მშობელმა ე. გინზბურგმა 32-ე საშუალო სკოლის დირექტორის სახელზე დაწერა ასეთი შინაარსის განცხადება:

„იმის გამო, რომ ჩემი შვილი მარა რახლევსკი სწავლობს მესამე კლასში და ხელს უშლის მთელ კლასს, აგრეთვე სახლში არ უსმენს მშობლებს, უწესოდ იქცევა და ღამ-ღამობით დადის ხულიგნებთან, გთხოვთ, პატივცემულო დირექტორო, დამეხმაროთ ამ საქმეში და ხულიგანი რახლევსკი გაგზავნოთ შრომითს კოლონიაში, რამდენადაც ის გამოუსწორებელია. გთხოვთ უარი არ მითხრათ განცხადებაზე“.

თავის გამოსვლაში აღნიშნული სკოლის დირექტორმა დ. ღოღობერიძემ განაცხადა, რომ მშობელ გინზბურგს არა სურს სწავლის ნორმალური პირობები შეუქმნას თავის შვილს. მამამ დიდი ხანია მიატოვა ოჯახი, ხოლო დედა მეორედ გათხოვდა და ცდილობს თავადან მოიცილოს შვილი. მშობელთა უპასუხისმგებლობის მაგალითები ცოტა როდია.

კამათში გამოსულმა მშობლებმა და პედაგოგებმა აღშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ბავშვებს უშვებენ ისეთ კინოფილმებზე, რომლებიც არ შეეფერება სასკოლო ასაკს. ეს ხდება იმიტომ, რომ კინოთეატრების ზოგიერთი მუშაკი გატაცებულია მხოლოდ საფინანსო გეგმის შესრულებით. აუცილებელია ამ საქმეში მტკიცე კონტროლი და მეთვალყურეობა დაწესდეს.

მშობელთა კომიტეტების როლსა და ამოცანებზე, მოსწავლეთა აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებებზე ილაპარაკეს მშობელთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა ნ. მარკოზოვმა (33-ე სკოლა), დ. გუეცკიმ (38-ე სკოლა), 32-ე სკოლის მშობელთა კომიტეტის წევრმა ვ. კარაპეტიანმა, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის წარმომადგენელმა ს. მაჩაიძემ, 30-ე სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ლ. ჭანკვეტაძემ, 36-ე სკოლის მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ლ. ჯაიანმა, მილიციის მე-8 განყოფილების ბავშვთა ოთახის ინსპექტორმა ი. მუჭედლიძემ, კომკავშირის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ა. კობალაძემ.

კონფერენციაზე შეიქმნა მშობელთა კომიტეტების რაიონული გაერთიანება. ამ გაერთიანებაში არჩეულ იქნენ მშობელთა კომიტეტების წარმომადგენლები.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„აღმოვუხვრათ ნაკლოვანებები ციგრუსების კრეფა-გადამუშავებისათვის მზადებაში“

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს განიხილა „კომუნისტის“ 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია — „აღმოვუხვრათ ნაკლოვანებანი ციტრუსების კრეფა-გადამუშავებისათვის მზადებაში“. კორესპონდენციაში მხილებულ ნაკლოვანებათა გამო საოლქო კომიტეტის ბიუროს განახორციელა საჭირო ღონისძიებანი. რის შედეგადაც ციტრუსების დამზადების სახელმწიფო გეგმა ვადამდე შესრულდა.

უნგრული კინოფილმების ფესტივალი

ახალი უნგრეთის ხელოვნებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია კინემატოგრაფიას.

უნგრეთის კინემატოგრაფიამ მოკლე ხნის განმავლობაში შექმნა მთელი რიგი მაღალიდეური და პოლიტიკურად მახვილი ფილმები, რომლებიც ასახულია უნგრელი ხალხის გმირული ბრძოლა საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი თავდადებული შემოქმედებითი შრომა ომისშემდგომ წლებში.

19-დან 25 დეკემბრამდე მოსკოვში, ლენინგრადსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში ტარდება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კინოფილმების მეხუთე ფესტივალი. თბილისში ფესტივალი მიმდინარეობს კინოთეატრებში „სპარტაკში“, „ამირანში“ და პლეხანოვის სახელობის კლუბში.

ფესტივალზე უჩვენებენ უნგრული კინოხელოვნების 4 ახალ საუკეთესო ფილმს: „მრისხანების დღე“, „განსაკუთრებული ნიშანი“, „ბუდაპეშტის გაზაფხული“, „ლილიომფი“.

მხატვრული ფილმი „მრისხანების დღე“ დადგმულია რეჟისორების ზ. ვარკონისა და კ. მაკის მიერ (სცენარი კ. შანდორისა და პ. ბაჩოსი). სურათი ამაღელვებლად მოგვითხრობს 1919 წლის ისტორიულ ამბებზე, რევოლუციის ციცხლში დაბადებული უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის გმირულ დღეებზე.

ანტანტა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სისხლში ჩაეხშო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა. უნგრეთის წითელი არმია ჩაება რევოლუციურ განმათავისუფლებელ ბრძოლაში ინტერვენტების წინააღმდეგ და ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში.

სურათი დადგმულია მაღალი რეჟისორული ოსტატობით. მის წარმატებას ხელს უწყობს მსახიობთა შესანიშნავი თამაში. აღსანიშნავია ფ. ბეშენეი ფარენც შოშის როლში. მსახიობი ქმნის მტკიცე რევოლუციონერის, ხალხის ერთგული შვილის, მგზნებარე პატრიოტის დაუვიწყარ სახეს.

რეჟისორ ზ. ვარკონის მეორე მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული ნიშანი“ (სცენარი ე. ვეისს) მიძღვნილია უნგრეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწის ზ. შენხერცის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

სურათში ასახულია უნგრელი ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

უნგრეთის ფაშისტურმა მთავრობამ გაანადგურა დემოკრატიული ორგანიზაციები. ქვეყანაში საშინელი ტერორი გამეფდა. უნგრეთის კომუნისტური პარტია ღრმა იატაკქვეშეთში აწარმოებს მუშაობას.

შეუპოვარი მებრძოლი, მტკიცე კომუნისტი იმრე საბო ამყარებს კავშირს დაქსაქსულ პარტიულ ჯგუფებთან, იმხრობს პატრიოტულად განწყობილ მოწინავე ინტელიგენციას და აწყობს არალეგალური გაზეთის გამოშვებას.

ფილმის მთავარი გმირია სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, ხალხის ერთგული შვილი, კომუნისტი იმრე საბო. სურათში მის დაუვიწყარ სახეს ჰქმნის მსახიობი ფ. ბეშენეი (ფერენც შოშის როლის შემსრულებელი ფილმ „მრისხანების დღეში“).

ახალი უნგრული ფილმი „ბუდაპეშტის გაზაფხული“ დადგმულია რეჟისორ ფელეკს მარიაშის მიერ მწერალ ფერენც კარინთის რომანის მიხედვით. (სცენარი გ. ტურზოსა და ფ. კარინთის).



კადრი ფილმიდან „მრისხანების დღე“.

სურათში ასახულია უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტის მცხოვრებთა შეუპოვარი ბრძოლა ფაშისტ ბარბაროსთა წინააღმდეგ. ნაჩვენებია ფაშისტი ჯალათების მიერ ჩადენილი საშინელი ბოროტმოქმედებანი.

საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევით განადგურებულ იქნენ ფაშისტური ურდოები, განთავისუფლებულ იქნა ბუდაპეშტი. უნგრელი ხალხი უსაზღვრო სიხარულით შეეგება ჩვენი არმიის გმირ მებრძოლებს.

რეჟისორ კ. მაკის კინოკომედია „ლილიომფი“ (სცენარი დ. მესელის) დადგმულია უნგრელი დრამატურგის ედე სიგლიგეთის ამავე სახელწოდების კომედიის მიხედვით.

ფილმს საფუძვლად უდევს გასული საუკუნის უნგრეთის გამოჩენილი არტისტისა და დრამატურგის ედე სიგლიგეთის ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი ამბავი.

ფილმის მთავარი გმირი ლილიომფი, ისე როგორც სიგლიგეთი, გაძევებულ იქნა ოჯახიდან იმის გამო, რომ მან მსახიობის პროფესია აირჩია. მაგრამ ამან ვერ შეაშინა ხალხის ერთგული შვილი ლილიომფი. მან დატოვა ოჯახი და მთელი თავისი სიცოცხლე ხელოვნების სამსახურს შესწირა.

სურათი დადგმულია მაღალი პროფესიული ოსტატობით. მაყურებელს ხიბლავს შესანიშნავი კომიკური სიტუაციები.

ლილიომფის როლს მშვენივრად ასრულებს მსახიობი ივან დარვაში. ფილმში მარიშკას დაუვიწყარ სახეს ჰქმნის მარიანა კრენჩი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი, რომელიც ამჟამად ტარდება საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ნათლად გვიჩვენებს უნგრეთის კინოხელოვნების მიღწევებს.

ფესტივალი ხელს შეუწყობს საბჭოთა და უნგრელი ხალხების კულტურული კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

ნ. შველიძე.

ბუქარესტში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

ბუქარესტი, 22 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ბუქარესტში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია რუმინეთის მუშათა პარტიის მეორე ყრილობაზე. დელეგაციაში შედიან: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. კირიჩენკო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი. დელეგაციაში შედიან აგრეთვე აკადემიკოსი მ. ბ. მიტინი და სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ა. ა. ეპიშევი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ ამხანაგები გ. გეორგიუ-დეჟი, კიკუ სტოიკა, ი. კომინევსკი, გ. აპოსტოლი, ა. მოგიოროში, მ. კონსტანტინესკუ, ე. ბოდნარაში და რუმინეთის მუშათა პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები, რომლებიც ჩამოვიდნენ რუმინეთის მუშათა პარტიის ყრილობაზე.

სახელმწიფო პრემიების მიკუთვნება რუმინეთში

ბუქარესტი, 22 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1954 წელს შესრულებული თვალსაჩინო შრომებისათვის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. პირველი ხარისხის პრემიები 50 ათასი ლეის რაოდენობით მეცნიერების დარგში მიენიჭა აკადემიკოს მ. ნიკოლესკუს — ორტომიანი შრომისათვის „მათემატიკური ანალიზი“, მეცნიერთა და ინჟინერთა ჯგუფს—„რუმინეთის ტექნიკური ლექსიკონის“ 7 ტომის დამუშავებისათვის, აკადემიკოს გ. მაკოვეის—ნაშრომისათვის „სტრატიგრაფია“, აკადემიკოს ი. იორდანს — ნაშრომისათვის „თანამედროვე რუმინული ენა“, აკადემიკოს პ. კონსტანტინესკუ-იაშს—ნაშრომისათვის „რუმინეთ-რუსეთის კულტურული ურთიერთობა წარსულში“.

ინჟინერთა ჯგუფს პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ახალი ბამბისსართავი მანქანის გამოგონებისათვის.

ინჟინერთა და ტექნიკოსთა მეორე ჯგუფი პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიის ღირსი გახდა ელექტრომოტორების კარკასების დასამუშავებელი მანქანის დაპროექტებისა და დამზადებისათვის.

პროზისა და პოეზიის დარგში პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ მწერალ გალანს რომანისათვის „ბერეგანი“, პოეტ მ. ბენიუკს — ლექსების ტომისათვის „ვაშლის ხე გზის ნაპირას“. მუსიკის დარგში პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიის ღირსნი გახდნენ კომპოზიტორი მ. ანდრიკუ მთელი რიგი თავისი ნაწარმოებებისათვის და ვიოლონჩელისტი ვ. ორლოვი — შემსრულებლობითი მოღვაწეობისათვის. მეორე ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა კინოფილმს „მესაყვირის შვილიშვილები“.

ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების დარგში პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიები 30 ათასი ლეის რაოდენობით მიენიჭათ მხატვარს კ. ბაბას—სურათისათვის „დასვენება მინდვრად“ და მ. სადოვიანუს რომანის „პიტრია კოკორის“ ილუსტრაციებისათვის, მხატვარ ჟ. პერახიმს — მ. სადოვიანუს რომანის „ძველი და ახალი მოთხრობების“, ა. პუშკინის „ევგენი ონეგინის“ ილუსტრაციებისათვის და სხვა ნამუშევრებისათვის, მოქანდაკე ა. სობოდკა—ქანდაკებისათვის „იდეის დაბადება“.

პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არტისტს ლ. სტურძა-ბულანდრას და ბუქარესტის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის სოლისტებს გ. პოპესკუს და ი. ლიჩიუს.

სულ მინიჭებულია 48 სახელმწიფო პრემია.

სახელმწიფო პრემიების მინიჭება ინდოეთში

ბიუროს ცნობა ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის აღმოჩენილი შეხვედრის შესახებ მოსკოვში

დელი, 22 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი დაბრუნდნენ მოსკოვში, სადაც მათ აღტაცებული შეხვედრა მოუწყეს.

მოსკოვში ცენტრალურ აეროდრომზე წარმოთქმულ სიტყვაში, ნათქვამია ამ ცნობაში, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა: ყველაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, რაც ჩვენ მივიღეთ მოგზაურობის დროს, ეს არის სიყვარული და პატივისცემა, რომლებითაც ინდოეთის, ბირმისა და ავღანეთის ხალხები ეკიდებიან საბჭოთა კავშირის ხალხებს. ეს ხალხები ძმები არიან კარგსა და ცუდ დროებში და მეგობრები არიან მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ნერუს განცხადება ინდოეთის შეკავების საბჭოში

დელი, 22 დეკემბერი. (საკდესი). უპასუხა რა დღეს კითხვაზე შტატების საბჭოში (ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატა), ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ განაცხადა, რომ ინდოეთის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გაუგზავნა ნოტა ამერიკა-პორტუგალიის განცხადების გამო, რომელშიც გოას პორტუგალიის პროვინცია ეწოდა.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრის პრეს-კონფერენცია

ქაბული, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ქაბულის რადიო იუწყება, ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ დაუდმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ავღანეთში საბჭოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების ვიზიტის დროს და მათთან შეხვედრისას საფუძველი ჩაეყარა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, რაც ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების საწინდარი იქნება.

ამ განცხადების შემდეგ პრემიერ-მინისტრმა უპასუხა მთელ რიგ კითხვებზე, კერძოდ ავღანეთისათვის საბჭოთა სესხის მიცემისა და მისი რეალიზაციის საკითხზე.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების დროს განხილული არ ყოფილა სამხედრო ხასიათის საკითხები.

იმ პოზიციის შესახებ, რომელიც ავღანეთის მთავრობას პუშტუნისტანის საკითხში უკავია, პრემიერ-მინისტრმა თქვა: „ავღანეთი მხოლოდ იმას ესწრაფვის, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობას მიეცეს შესაძლებლობა აირჩიოს სახელმწიფო წყობილების ისეთი ფორმა, როგორიც სასურველია მისთვის. ავღანეთს არასოდეს არ დაუმალავს არავისათვის თავისი თვალსაზრისი პუშტუნისტანის შესახებ და სურს, რომ ეს საკითხი მეგობრულად გადაიჭრას ავღანეთსა და პაკისტანს შორის“.

„პუშტუნისტანის საკითხი, — აღნიშნა მუჰამედ დაუდმა, — არ ყოფილა საბჭოთა ლიდერებთან მოლაპარაკების საფუძველი. ხოლო თუ ამ მოლაპარაკების პროცესში ჩვენ შევეხეთ პუშტუნისტანის საკითხს, აქ გასაკვირველი არაფერია, რადგან ასეთი საკითხი განვიხილეთ ყველა ჩვენს მეგობართანაც, რომლებიც წინათ გვესტუმრნენ ავღანეთში“.

დასასრულ პრემიერ-მინისტრმა დაუდმა თქვა: „ავღანეთის არა სურს შეუერთდეს სამხედრო ბლოკებს. ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციის მიზნების განხორციელებისათვის ავღანეთს სურს მშვიდობა და სიმშვიდე და ამიტომ ნეიტრალიტეტი თავისი ქვეყნის პროგრესის საუკეთესო გზად მიაჩნია“.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო კამპანია

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჟაკ დიუკლომ გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც განმარტა კომუნისტური პარტიის პოზიცია ახლანდელ საარჩევნო კამპანიაში. დიუკლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ კამპანიაში კომუნისტები მიზნად ისახავენ ბოლო მოეღოს პოლიტიკას, რომელსაც ეროვნული კრება ახორციელებს 1951 წლიდან. საერთაშორისო დარგში, თქვა დიუკლომ, ამ პოლიტიკას ახასიათებდა „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შექმნა, რევანშისტული გერმანიის შეიარაღება პარიზის შეთანხმებათა საშუალებით, რისთვისაც პასუხისმგებლობა თანაბრად ეკისრებათ მენდეს-ფრანსსა და ედგარ ფორს. წარსული მოწვევის ეროვნული კრების მუშაობასთან დაკავშირებული იყო აგრეთვე ომი ინდოჩინეთში.

დაახასიათა რა კომუნისტური პარტიის ბრძოლა მშვიდობისათვის, დიუკლომ თქვა, რომ კომუნისტებს უნდათ არა მარტო შეიცვალოს პოლიტიკა, არამედ ისიც, რომ შეიცვალონ ადამიანები, რომლებიც ამ პოლიტიკას ახორციელებენ, რადგან ახალ პოლიტიკას უნდა შეესაბამებოდეს ახალი უმრავლესობა და რადგან მემარცხენე ძალების პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭიროა მემარცხენე უმრავლესობა.

შემდეგ დიუკლომ განაცხადა, რომ საჭიროა შეწყდეს კოლონიური რეპრესიები ჩრდილოეთ აფრიკაში და მოლაპარაკების საშუალებით მოწესრიგდეს ალჟირისა და მაროკოს პრობლემები.

დიუკლომ მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ კომპარტიის კანდიდატებს, რათა წარგზავნონ პარლამენტში რაც შეიძლება უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი კომუნისტი დეპუტატებისა, რომლებიც შეძლებენ ხელი შეუშალონ რეაქციას თავისი ნება უკარნახოს ახალ ეროვნულ კრებას.

თავს დაესხნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის შენობას

პარიზი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, გუშინ ფაშისტი ხულიგნების ჯგუფი თავს დაესხა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციის შენობას პარიზის მეოთხე ოლქში. „ლუმანიტე“ აღნიშნავს, რომ კომპარტიის ეს შენობა თითქმის პოლიციის კომისარიატის გვერდზეა და რომ პოლიციელებს არ მიუღიათ რაიმე ღონისძიება, რათა შეეპყროთ ხულიგნები ან წესრიგისაკენ მოეწოდებინათ მათთვის.

ფაშისტი ელემენტების ამ გამოსვლამ აღშფოთება გამოიწვია პარიზის მოსახლეობაში.

ინდონეზიის დამფუძნებელი კრების არჩევნების გამო

პეკინი, 23 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იმოწმებს ინდონეზიის გაზეთ „ჰარიან რაქიათის“ ცნობას და იუწყება, რომ უკანასკნელი, თითქმის სრული, ცნობებით ინდონეზიის დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ, რაც 15 დეკემბერს მოხდა, ინდონეზიის ეროვნულმა პარტიამ იავაზე მიიღო 6.298 ათასი ხმა, კომუნისტურმა პარტიამ — 5.039 ათასი, ნაჰდატულ ულამის პარტიამ — 4.190 ათასი და „მაშუმის“ პარტიამ — 3.190 ათასი ხმა.

ცნობაში აღნიშნულია, რომ პარლამენტის სეტემბრის არჩევნებთან შედარებით ეროვნულმა პარტიამ მიიღო თითქმის 300 ათასი ხმით მეტი, კომუნისტურმა პარტიამ 380 ათასი ხმით მეტი, მაშინ როცა „მაშუმის“ პარტიამ დაკარგა 200 ათასზე მეტი ხმა და ნაჰდატულ ულამის პარტიამ აგრეთვე დაკარგა თავის ამომრჩეველთა ერთი ნაწილი.

სტიქიური უბედურება იუგოსლავიაში

ბელგრადი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ბელგრადის რადიო იუწყება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ სერბიაში კოკისპირული წვიმების შემდეგ ადიდდა ბევრი მდინარე და გაჩნდა მთის ნიაღვრები. წყლით დაფარულია რამდენიმე ათასი ჰექტარი ნოყიერი სახნავ-სათესი მიწა და ასზე მეტი სახლი. 21 დეკემბერს 14 საათზე მორავის წყალმა ზოგან ჩვეულებრივ დონეზე 6 მეტრით მაღლა აიწია. ქალაქ ჩუპრიაში მორავამ დატბორა ერთი ქუჩა და 50 სახლი. ამ ქალაქის გარეუბანსა და მიდამოებში წყალმა დაფარა 60 შენობა. დასავლეთ მორავაში ქალაქ ტრსტენიკის მახლობლად წინა ღამისა და გასული დღის განმავლობაში წყლის დონემ მოულოდნელად აიწია. ღამით მდინარემ კალაპოტი გადალახა და დატბორა მიწის დიდი ფართობი. ტრსტენიკი მოწყვეტილია სხვა დასახლებულ პუნქტებს. თვით ქალაქში წყლით დაფარულია ბევრი სახლი. მატერიალური ზარალი მნიშვნელოვანია.

ქვემოწელში ნაპირები ვადმოლახა მდინარე იბარმა ქალაქ კრალევოს მახლობლად. ამბობენ, რომ ასეთი წყალდიდობა ამ რაიონში არ ყოფილა უკანასკნელი 25 წლის მანძილზე.

სამხრეთ მორავის ხეობაში, ალექსინაცსა და სტალაჩს შუა, დატბორილია 3.200 ჰექტარამდე მიწა. ხორციელდება წყალდიდობისაგან დაცვის საგანგებო ღონისძიებანი.

მდგომარეობა იორდანიაში

ნიუ-იორკი, 22 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ამანიდან იუწყება, იორდანიის ახალი მთავრობის მეთაურმა იბრაჰიმ ჰაშიმმა 21 დეკემბერს განაცხადა, რომ მისი მთავრობა, როგორც დროებითი მთავრობა, არ შეუერთდება არც ერთ პაქტს ან ხელშეკრულებას უცხო სახელმწიფოებთან.

„ჩვენ, — ხაზგასმით აღნიშნა ჰაშიმმა ოფიციალურ განცხადებაში, — ვაცხადებთ, რომ ჩვენი მთავრობა, რომელიც დროებითი მთავრობაა, არ განიხილავს რაიმე პოლიტიკურ პრობლემას და არ შეიბოჭავს თავს რაიმე ახალი ხელშეკრულებით ან ვალდებულებით“.

პრემიერ-მინისტრის ეს განცხადება ნათელყოფს, რომ მისი მთავრობა არ შეუერთდება საწინააღმდეგო გამოსვლები, დემონსტრაციები, გაფიცვები, ბევრჯერ შეიარაღებულ შეტაკებასაც ჰქონდა ადგილი.

1952 წლის ივლისში ეგვიპტის არმიის ოფიცრები გამოვიდნენ მონარქისტული რეჟიმის წინააღმდეგ და კიდევაც დაამხეს იგი. მეფე ფარუკი ჩამოგდებულ და ეგვიპტის საზღვრებიდან გაძევებულ იქნა. მთელი ძალაუფლება გადაეცა „ხელმძღვანელ რევოლუციურ საბჭოს“, რომელმაც ეგვიპტე 1953 წლის ივნისში რესპუბლიკად გამოაცხადა. მის მიერ შექმნილი მთავრობა, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა და რეაქციის წინააღმდეგობისა, მაშინვე შეუდგა იმპერიალისტთა შავბნელი ბატონობის შედეგების ლიკვიდაციას, ფეოდალური ურთიერთობის აღმოფხვრას სოფლად, საკუთარი მრეწველობის განვითარებას, კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ეკონომიური კავშირის დამყარებას მეზობლებთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან და სხვ. ეგვიპტის ახალმა მთავრობამ მიიღო ზომები ეგვიპტიდან ინგლისის ჯარების გასაყვანად. 1954 წელს მან მიაღწია ინგლისთან შეთანხმებას, რომლის ძალითაც ინგლისმა 20 თვის განმავლობაში უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები. დღემდე უკვე გაყვანილია 49.031 ინგლისელი ჯარისკაცი.

საგარეო პოლიტიკაში ეგვიპტე აცხადებს უარს აგრესიულ ბლოკებში მონაწილეობაზე, რომლებსაც დასავლეთის სახელმწიფოები აკოწიწებენ. 1951 წლის 14 ნოემბერს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და თურქეთმა გამოაქვეყნეს „შუა აღმოსავლეთის სარდლობის“ ორგანიზაციის შექმნის გეგმა და წინადადება მისცეს ეგვიპტეს და სხვა არაბთა ქვეყნებს, ისრაელს, ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკის კავშირს შეერთებოდნენ მას. ეგვიპტემ კატეგორიული უარი განაცხადა. მის მაგალითს მიბაძეს არაბთა სხვა ქვეყნებმა. ეს გეგმა ჩაშალა.

ამის შემდეგ ასინი შეეცადნენ შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ცალ-ცალკე ჩაეთრიათ აგრესიულ ბლოკებში. შეაკოწიწეს ბაღდადის ბლოკი, რომელშიც შედიან თურქეთი, ერაყი, პაკისტანი, ინგლისი, ირანი და რომელსაც უნდა შეუერთდნენ ამერიკის შეერთებული შტატები. როცა არაბთა ერთ-ერთი ქვეყანა — ერაყი შეუერთდა ბლოკს, მაშინვე კაიროში შეიკრიბნენ არაბთა ქვეყნების პრემიერ-მინისტრები, რომლებმაც სასტიკად დაგმეს ერაყის მოქმედება. მათ მიიღეს გადაწყვეტილება არ ჩაებნენ აგრესიულ სამხედრო ბლოკებში, რომლებსაც იმპერიალისტები ქმნიან ახალი ომის გასაჩაღებლად. ეგვიპტემ სასტიკად დაგმო ირანის მოქმედება, რომელიც ამას წინათ შეუერთდა ბაღდადის პაქტს.

ეგვიპტემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო აზიის და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციაში. ეგვიპტის პრემიერ-მინისტრმა ნასერმა, რომელიც დელეგაციის მეთაური იყო, მკაცრად გაიკიცხა კოლონიალიზმის, პატარა ქვეყნების შინაური საქმეში ჩარევის წინააღმდეგ.

ეგვიპტის მეთაურობით არაბთა ქვეყნები უფრო მჭიდროდ იერაზმებიან და ფუშავენ აგრესორთა ზრახვებს.

ამერიკა აქეზებს ისრაელის სახელმწიფოს ეგვიპტის წინააღმდეგ. საზღვარზე, ღაზის რაიონში ხდება თავდასხმები ისრაელის მხრივ. ამერიკა ცდილობს სამხედრო კავშირი დადოს ისრაელთან და ამით დაამშინოს არაბთა ქვეყნები, მაგრამ ეს ცდაც განწირულია ჩასაფუშავად.

ეგვიპტე დღითიდღე განამტკიცებს მეგობრობას და ეკონომიურ, კულტურულ და სპორტულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ჩეხოსლოვაკიასთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან, თავის მეზობელ სახელმწიფოებთან.

1954 წლის მარტში საბჭოთა კავშირსა და ეგვიპტეს შორის დაიდო ორივე მხარისათვის ხელსაყრელი სავაჭრო შეთანხმება. ა. წ. 6 სექტემბერს კაიროში კიდევ დაიდო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: საბჭოთა კავშირი ეგვიპტეს მიაწვდის 500 ათას ტონა ნავთობს, ხოლო სამაგიეროდ ეგვიპტე საბჭოთა კავშირს მიაწვდის 60 ათას ტონა ბრინჯს. საბჭოთა კავშირი დიდი რაოდენობით იძენს ეგვიპტის ბამბას.

ა. წ. 23 ივლისს ეგვიპტემ იდღესასწაულა ეროვნული დღესასწაული — განთავისუფლების დღე. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო ამხ. დ. ტ. შეპილოვმა. თავის გამოსვლაში მან ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა ხალხის მეგობრობა ეგვიპტის ხალხებთან.

პრემიერ-მინისტრი გამალ აბდელ ნასერი 1956 წელს ჩამოვა საბჭოთა კავშირში, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ორი ქვეყნის მეგობრობას, ხელს შეუწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას და საერთაშორისო თანამშრომლობას.

მიმდინარე წლის აგვისტოში ეგვიპტის სავაჭრო დელეგაცია გაემგზავრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. იქ დადებულ იქნა სავაჭრო შეთანხმება სამი წლის ვადით.

ეგვიპტეს თავდაცვისათვის ესაჭიროება იარაღი. ამერიკელები და ინგლისელები დაჰპირდნენ იარაღის მიწოდებას, მაგრამ სამაგიეროდ მოსთხოვეს მთელი რიგი დათმობანი. ეგვიპტემ უარი განაცხადა მათგან ასეთ პირობებში იარაღის შეძენაზე. ამჟამად ეგვიპტე იარაღს და საჭურველს იძენს ჩეხოსლოვაკიისაგან, სამაგიეროდ მას აძლევს ბამბას, ბრინჯს და სხვა პროდუქტებს. ეს გარემოება დიდად აშფოთებს იმპერიალისტურ წრეებს. სამაგიეროდ მას ერთსულოვნად იწონებენ არაბთა ქვეყნები.

ღონისძიებანი, რომლებსაც ეგვიპტის მთავრობა ახორციელებს, ხელს უწყობენ ეგვიპტის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას, ახლო და შუა აღმოსავლეთში უშიშროების განმტკიცებას.

ჯ. ჯოხიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის სახელმწიფო ცირკში წარმატებით გამოდიან საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები. მაყურებელთა მოწონებას იმსახურებენ ლეშკოვასა და იურკინის გამოსვლა. საინტერესო პროგრამით გამოდიან ბორგუნოვი, რუსეთის დამსახურებული არტისტი ნიკიტინი, უზბეკეთის სსრ დამსახურებული არტისტი ხალიმზარიპოვა, მოჯირითიევი ზარიპოვები და სხ.

სურათზე: აკრობატული ჯგუფის გამოსვლა კოვალენკოს ხელმძღვანელობით.

★

საბჭოთა მოჭიდავეების მოგრიგი გამარჯვება

სსრ კავშირის მოჭიდავეთა კოლექტივმა მოგრიგი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა საფრანგეთის სპორტსმენებთან გამართა ლიონში. აქ შედგა 9 შეხვედრა (7 კლასიკურ ჭიდაობაში, 2 თავისუფალ ჭიდაობაში). საბჭოთა სპორტსმენებმა 9 შეხვედრიდან მოიგეს 6 და წააგეს მხოლოდ ერთი. ერთადერთი შეხვედრა წაგება გამარნიკამ. 8-დან 7 შეჯიბრებაში სსრ კავშირის მოჭიდავეებმა მოწინააღმდეგეს ორივე ბეჭით დასცეს ხალიჩაზე.

საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეიში

ინგლისის, გერმანიისა და შვეიცარიის ჰოკეისტების შემდეგ მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა მეორე ნაკრები გუნდი. პირველი შეხვედრა სტუმრებმა გამართეს სსრ კავშირის პირველ ნაკრებ გუნდთან. საინტერესო ასპარეზობა, რომელიც მეგობრულ გულთბილ კითარებაში მიმდინარეობდა, დამთავრდა ფრედ 2:2.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში

(შელიქიშვილის ქ. № 10)

1956 წლის 3 იანვარს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **თეიმურაზ გრიგოლის-ძე დიდებულიძე**

— თემაზე: „**მასალები პანკრეასის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლისათვის ჰიპერტონიული დაავადების დროს**“.

2. **ქეთევან ბრიგოლის ასული გველესიანი**

— თემაზე: „**ბავშვთა რეგმატიზმის მიმდინარეობა პალატისა და აერარიუმის პირობებში ზოგიერთ აზოტოვან ნივთიერებათა დინამიკურ ცვლასთან დაკავშირებით**“.

შრომების გაცნობა შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

მეუღლე ქსენია, შვილი გიორგი ოჯახით ღ[illegible] ნათესავებით იუწყებიან საქართველოს რეს[illegible] პუბლიკის დამსახურებული ექიმის

ვლადიმერ ილიას-ძე ციცინაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-XII, 8 ს[illegible] გამოსვენება 27-XII, 4 ს. ბინიდან, კეცხოველის ქ. № 11.

მეუღლე სტრატონიკე, შვილები ნოდარ, [illegible] მარა, იზაბელა, იამზე, ლალი, და სოფიო, ძმები ბარნაბ, ამბროსი ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრეს-ძე ჩანკვეტაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-XII სოფ. ლიხაურში (ბახარაძის რაიონი).

შვილები გრიშა, იროდიონ, მანია, ეთერ ოჯ[illegible] ხებით იუწყებიან

მატრონე ბიჭიას ასულ ომიაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 25-XII, 7 ს. გ[illegible] მოსვენება 27-XII, 4 ს. მიასნიკოვის [illegible] № 102.

შვილები კალე, ნინო, ვასასი, ნადია, ანტ[illegible] ლამარა, ვლადიმერ, ნიკო ოჯახებით იუწ[illegible] ბიან

მარინე ნიკოლოზის ასულ არობელიძე-თავართქილაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-XII, 3 ს[illegible] სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი).

მეუღლე მარიამ, შვილი თამარ ოჯახით იუწ[illegible] ყებიან

ბესარიონ პომპის-ძე ხომერიკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-XII ქ. ლ[illegible] ჩხუთში, გამოსვენება ბინიდან, სტალინის [illegible] № 44.

დედა ქუჩუჩი, დები ნიორა, თამარი, გოგუ[illegible] ოჯახებით იუწყებიან

ოთარ პავლეს-ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-XII ქ. ბ[illegible] ში. გამოსვენება ბინიდან, ვორონეშელოვის [illegible] № 6.

ეგვიპტე დამოუკიდებელი განვითარების გზაზე

არაბთა ქვეყნებს შორის ეგვიპტე ყველაზე დიდი ქვეყანაა. პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული მხრივ იგი გავლენას ახდენს მთელ არაბულ აღმოსავლეთზე. ეგვიპტეს შემოხვევით როდი უწოდებენ „არაბთა სამყაროს ცენტრს“, „შუა აღმოსავლეთის გასაღებს“.

ეგვიპტეს დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს. დასავლეთით იგი ესაზღვრება ლიბიას, სამხრეთით — სუდანს, ჩრდილოაღმოსავლეთით — ისრაელს, აღმოსავლეთით მას აკრავს წითელი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით ხმელთაშუა ზღვა. ეგვიპტის ტერიტორიაზე გადის სუეცის არხი, რომელიც ხმელთაშუა ზღვას აერთებს წითელ ზღვასთან, ატლანტის ოკეანეს ინდოეთის ოკეანესთან. ეს გზა მსოფლიო მნიშვნელობის საზღვაო გზაა. იგი ევროპას და ამერიკას აკავშირებს აზიასთან, აფრიკასთან, შორეულ აღმოსავლეთთან.

ეგვიპტის ტერიტორია 994,3 ათასი კვადრატული კილომეტრია, ე. ი. 4-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისის. ტერიტორიის 96 პროცენტი უდაბნოებს უჭირავს. დასავლეთით ყველაზე დიდი ლიბიის უდაბნო, რომელიც საჰარის უდაბნოს გაგრძელებას წარმოადგენს, აღმოსავლეთით კი არაბეთისა და სინას უდაბნოები.

ეგვიპტეში წვიმები იშვიათია. ამიტომ განუზომელი მნიშვნელობა აქვს მდინარე ნილოსს, რომელიც ეგვიპტის სასიცოცხლო არტერიაა.

ნილოსის ნაპირზე წელიწადში ორი მოსავალი მოჰყავთ. მოწყობილია დიდი საირიგაციო ნაგებობანი, რომლებითაც ირწყვება დიდი მასივები. სარწყავი არხების სიგრძე 25 ათას კილომეტრს აღწევს. ყველაზე დიდი წყალსაცავია ასუანის წყალსაცავი, რომელიც 5 მილიარდ კუბმეტრ წყალს იტევს. ამ წყალსაცავის სამხრეთით, 4 მილის დაშორებით ეგვიპტის მთავრობა აშენებს „მაღალ საგუბარს“ („სად ალ-ალის“), რაც მორწყავს ორ მილიონ ფედან მიწას (1 ფედანი 0,42 ჰექტარია). იგი უხვმოსავლიან მიწებად გადააქცევს უდაბნო ადგილებს, საგრძნობლად გაადიდებს დასამუშავებელი მიწების რაოდენობას და თითქმის 50 პროცენტით გაზრდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას.

ეგვიპტეში ამჟამად ცხოვრობს 23 მილიონამდე კაცი. მოსახლეობას ძირითადად (90 პროცენტს) შეადგენენ ძველი ეგვიპტელების მემკვიდრეები, რომლებიც შემდეგში გაითქვიფნენ არაბებში, მათგან შეითვისეს არაბული ენა და მუსლიმანური რელიგია. ასევე ძველ ეგვიპტელთა შთამომავალნი არიან კოპტები (8 პროც.), რწმენით ქრისტიანები. ცხოვრობენ აგრეთვე ბერბერები, არაბი-ბედუინები, ნუბიელები, თურქები და სხვ. უცხოელების რიცხვი ორას ათასს უდრის. მათ შორის არიან ბერძნები, იტალიელები, ინგლისელები, ფრანგები და სხვ. ისინი უმთავრესად ქალაქებში ცხოვრობენ. ეგვიპტის დედაქალაქია კაირო, რომელიც ნილოსის ნაპირას მდებარეობს. იგი ყველაზე დიდი ქალაქია მთელ შუა და ახლო აღმოსავლეთში. ამჟამად იქ ცხოვრობს 2.100 ათასი კაცი.

უცხოელი მონოპოლიების თარეშმა შეაფერხა ეგვიპტეში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარება. იგი დღესაც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. ინგლეს ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობისათვის დიდი რაოდენობით სპირდებოდა ბამბა. ამ მხრივ დამოკიდებული რომ არ ყოფილიყო ამერიკის შეერთებულ შტატებზე, მან ეგვიპტეში ფართოდ დანერგა ეს მონოკულტურა. ამჟამად ბამბაზე მოდის მთელი სასოფლო-სამეურნეო შემოსავლის 50 პროცენტი და ძირითადად მასზეა დამოკიდებული ეგვიპტის ეკონომიკა. 1953 წელს ბამბის ნათესებს ეჭირა 556 ათასი ჰექტარი. ამ წელს მოკრეფილი იყო 447 ათასი ტონა ბამბა. ბამბის მოსავლის მხრივ ეგვიპტე ჩამორჩება საბჭოთა კავშირს, ჩინეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს და ბრაზილიას, ხარისხის მხრივ კი ეგვიპტის ბამბა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესოდ ითვლება.

გარდა ამისა, ხორბლის ნათესებს უჭირავს 629 ათასი ჰექტარი, სიმინდისას — 695 ათასი, ბრინჯისას — 205 ათასი ჰექტარი და ა. შ. გაშენებულია აგრეთვე შაქრის ლერწმის, ფინიკის პალმის, ციტრუსების, ზეთისხილის პლანტაციები და სხვ.

მიწის დამუშავება ეგვიპტეში დღესაც პრიმიტიული, ფარაონების დროინდელი ითარეებით წარმოებს. მიწების დიდი ნაწილი მსხვილ მემამულეებს ეკუთვნით. მათ ხელშია მიწების 43 პროცენტი, მაშინ როცა მეურნეთა 94 პროცენტ ფლობს მიწის მხოლოდ 33 პროცენტს. 14 მილიონი ფელახი (გლეხი) გაჭირვებასა და სიღატაკეში ცხოვრობს. მათ დიდ უბრალესობას სრულებით არა აქვს მიწა და იძულებულია იჯარით აიღოს იგი ან მოჯამაგირედ იმუშაოს.

1952 წლიდან ეგვიპტეში დაიწყ